ლაღო თევდორაძე

ლადო თევდორაძის
სამყარო
კობა ჭუმბურიძისგან
ლექსად
ნათარგმანები

ნინო გუგეშაშვილი

მიმოვდიოდი, ვით ტილოს ქურდი

მიმოვდიოდი, ვით ტილოს ქურდი
და არ ვიცოდი, რა უნდა შექნა,
იმ სამყაროში შეპარვა მსურდა,
ლადომ რომ შექმნა.
რადგან ვიგრძენი, თავისთან მიხმო,
ვინც უკვე იყო იქ შეპარული
და აღარ ჯლდა სიკეთე, სითბო
და სიყვარული.

კობა ჭუმბურიძე

რა უნდა დავწერო უფრო მეტყველი, რით შევავსო ან როგორღა გავაფერადო ამ ორი ხელხვავიანი და ბარაქიანი ხელოვანის შემოქმედებითი გალერეა?

ლადო თევდორაძე ფერწერის მოყვარულებისთვის არა მხოლოდ ცნობილი, არამედ გამორჩეულად საყვარელი, თბილი და გულში ჩახატული მხატვარია. მისი ტილოები იფინება და დაცულია როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის მრავალი ქვეყნის კერძო თუ სამუზეუმო სივრცეებში. მისი სტილი და პალიტრა პირველი ნახვისთანავე გიზიდავს და გამახსოვრებს თავს თავისი სიკეთით, მშობლიურობით და ფერთა სიხასხასით.

კობა ჭუმბურიძე - ფართო სპექტრის ლიტერატორი - პოეტი, მთარგმნელი, საბავშვო ლექსებისა და ზღაპრების ავტორი, ქართული საბრძოლო ხელოვნების მკვლევარი და მესვეური. მის შემოქმედებას, ისევე, როგორც ლადო თევდორაძისას, ვერ დაიტევს წიგნის წინათქმა.

მხოლოდ ის შემიძლია, როგორც რეალურ დროში თვითმხილველმა, გიამბოთ, როგორ იბადებოდა ეს წიგნი: 2020 წლის 26 თებერვალს კობა ჭუმბურიძემ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა ლექსი - „მრავალი მრავალწერტილი...“ მინაწერით - „თარგმანი ლადო თევდორაძის ნახატიდან“.

175 ენიდან 4 600 ლექსის მთარგმნელს, ჩანს, ენები ეცოტავა და ნახატების თარგმნაზე გადავიდა-მეთქი, გავიფიქრე. ისე მშობლიურად, ისე თავისიანად შემოეხვია ლექსი ტილოს, თუ თვითონ გაეხვია ტილოში, იმ ნაგვიანევად გამხელილი სიყვარულის ამბავში, უბრალო, კეთილი ადამიანების ალალ სახეებსა და ფანჯრიდან მომზირალი კატის სილუეტში, ლადოსეულ იუმორს და ხალხურობას ისე შემოექარგა ასევე იუმორით და დიალექტით შეზავებული ლექსი, იფიქრებდი, რომ ეს ორი სახე ერთი ამბისა ერთად დაიბადა, ტყუპად.

ამ „ტყუპის“ გამოქვეყნებას მოჰყვა როგორც ფერწერის, ისე ლიტერატურის მოყვარულთა ცოცხალი გამოხმაურება და იქვე გაჩნდა იდეა და თხოვნა ორი ავტორისადმი, რომ შექმნილიყო ერთობლივი ალბომი. თხოვნას ბატონი ლადოც მზადყოფნით გამოეხმაურა და კობა ჭუმბურიძეც მისთვის დამახასიათებელი სისწრაფით შეუდგა ტილოების თარგმნას.

სალოცავთან
ტილო, ზეთი
50 x 60 სმ

ამ ალბომის თითოეული ახალი წყვილის გამოქვეყნებას უამრავი მომლოდინე და შემფასებელი ჰყავდა. თვითონ კობას ერთ სტრიქონს მოვიშველიებ, „როგორც ალუბლის წყვილი კუნწულზე“, ისე ბუნებრივად დაწყვილდა ეს ორი ავტორი, ორი კეთილი შემოქმედი, ორივე თბილი და ძალიან ქართული იუმორით, აზრის თამაშით თუ მელანქოლიით. თითქოს მეგობრული მასლაათით მიუყვებიან ისინი გულებისკენ სავალ გზას. და ადამიანებიც მონაწილეობენ ამ მრავალსახოვან მისტიკურ თამაშში. ზოგი ლექსადაც ეხმიანება: „აქა იხილეთ, მხილველნო, საუკეთესო დუეტი: კობა - მხატვარი ლექსებით, ლადო - ფუნჯებით პოეტი“ (მანანა ყავლაშვილი); ზოგი თავის ბებიას ცნობს ამ ალბომში, ზოგი - თავის ბავშვობას, ზოგიც - სოხუმისკენ მიმავალ გზაზე დატოვებულ ბარგს...

რადგან წიგნის შექმნის ამბავს ვყვები და იმერული დიალექტიც ვახსენე, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის (ამჟამად აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივრსიტეტი) მეცნიერ-თანამშრომლის ლეილა უკლებას ღვაწლს, მის მიერ გაწეული შრომის წილს ამ წიგნში. ქალბატონი ლეილა წლების განმავლობაში აგროვებდა იმერული კილოსათვის დამახასიათებელ ნიმუშებს. სხვა სამეცნიერო ნაშრომებზე მუშაობის პარალელურად, მან შეკრიბა „იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა“, რომელიც, სამწუხაროდ, მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გამოიცა.

ეს მასალა ათი წლის წინ ძალიან საჭირო ხელში მოხვდა - კობა ჭუმბურიძესთან.

კობას ლექსებს ვინც იცნობს, დამეთანხმება, რომ იგი თვითონაც არ უჩივის სიტყვათმარჩხობას, მაგრამ როგორც ერთ ლექსში ამბობს, „ვერ ეგუება ნაცრისფერ ყოფას მოუსვენარი ბუნება კაცის“. სწორედ ასეთი მოუსვენარი ბუნება იცნო, როცა ლეილა უკლებას წიგნი გადაშალა. ლექსი, რომლითაც ის შეეხმიანა უკვე გარდაცვლილი უცნობი, მაგრამ სულით ნათესავი ადამიანის შრომას და მოუსვენრობას, თითქოს წლებსა და ორ სამყაროს შორის დაშვებულ ფარდებს არღვევს:

რეტრო
კოლაჟი
50 x 40 სმ

იმერული, აბასრული, საიდან სად გამახსენე!
შენც ჩაუდგი ამას სული, გეყურება ბოშო შენე?
წიგნს აჩნია შენი ხელი, ამიტომაც სხვას არ ჰგავსო...
თქმულა - სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავსო.

სწორედ მოუსვენარ ბუნებათა თავმოყრამ და დამთხვევამ დაბადა ეს კრებული, რომელშიც ლეილა უკლებას მიერ გადარჩენილ მარგალიტებსაც შევხვდებით.

აქ ყველაფერია, აქ ლადო თევდორაძის სამყაროა, რომელსაც კობამ „ლადოს ჭრელი სიზმრები უწოდა“. აქ საქართველოა და ის სიფაქიზე, რაც სამშობლოსთან, დაბადების და აღზრდის ადგილთან სულის და გონის გადაუჭრელი ჭიპლარით გვაკავშირებს: აქ ცხოვრებაა „ერთი ქართველი კაცის, უტეხისა და პირმოცინარის“; ხარატულა აკვანში ჩაკრული ლოყაწითელი ბიჭუნაა, აკვანზე შებმული ქარვის მძივით და ჯვრით; ბებია ერთი წიწილით ხელში და დანარჩენი კრუხ-წიწილები, მის კალთაზე ასაფრთხიალებლად რომ ემზადებიან; სტუმართმოყვარე იმერელი დიასახლისი ერთ ხელში გრაფინით, მეორეში - ჯვარდასმული ნამზადით; ნორჩი, მოწიფული თუ ხანდაზმული სიყვარული ნიშნობის ბეჭდით თუ სარეცლით, რომელიც მზესავით თაკარაა და იმერელი ქალივით კრიალა; ფარცხანაყანების სადგური ჭრელი მგზავრებით, ქოლგებით, ძაღლებით; სოფლის კლუბის ცნობისმოყვარე მაყურებელი; პატარა საყდრის მცირე მრევლი ხუცესით და საყდრის სარკმელზე შემომჯდარი მახარობელი ჩიტით; ქალაქელი ქალები ყავის ჭიქებით ან მაგიდაზე გაშლილი ლოტოთი; გრამოფონი, პიანინო, ვიოლინო, ფლეიტა, დამკვრელები დოლ-გარმონით და კლარნეტით; აღდგომა წითელი კვერცხებით, პასკებით და პატიოსანი მრევლით; მონადირეები თავიანთი თვალწყლიანი ძაღლებით და ტყისპირს გაშლილი

მონადირული სუფრით; ბაზრობები, ველ-მინდვრები, მგზავრები, მატარებლები, საკერავ მანქანასთან მოფუსფუსე ბებოები და მამიდები, ფერადი ძაფები, ნაჭრები და ნახშირის უთოები რომ მოუმარჯვებიათ და კერავენ, აკოპწიავებენ ოჯახს, სახლს, მთელ ქვეყანას ქვილთის საბნებით და ფარდაგებით რთავენ. ამოუწურავია ეს ფერები, წარმოსახვათა ეს ნაკუწები, ქათმებს, ინდაურებს, ფარშევანგს და ციცარსაც კი ქვილთის ბუმბული მოსავთ. აქ ყველაფერია - უძველესიდან უახლესამდე, აქაურიდან საკაცობრიომდე.

თითქოს რაღა უნდა დაამატო ლადოსეულ ფერთა ღაღადს, ამ მეტყველ თვალებს, ამ მოძრავ, გრძნობებით და ხმებით სავსე ქვეყნიერებას, როგორღა უნდა აამეტყველო? და კობა გვითარგმნის, როგორც მუნჯ კინოს, ან სოფელში უცხო ენაზე მოსულ ფილმს თარგმნიდა ხოლმე ვინმე მოხალისე, რომელსაც ის ენაც კარგად ესმოდა და ინტერპრეტაციის უნარიც გაცხოველებული ჰქონდა. გვითარგმნის, რას ფიქრობს მამაძაღლი მურია, რას უკრავს ვიოლინო, რას ჩურჩულებენ შეყვარებულები, როგორ ჭორავენ შექსპირს და ახალ რეჟისორს პრემიერიდან ორღობით დაბრუნებული მაყურებლები... და იუმორს იუმორი ემატება, ფერს ფერი, ფიქრს სიღრმე, სათქმელს სიტყვა, რომ მურია ფიქრობს: „გოგოები მომდგებიენ, დამიწყებენ ფერდზე ხიცინს, ნეტა მალე მორჩენ, თვარა რა გოუძლებს კუდის ქიცინს“, რომ მატარებელი მარშრუტით „თბილისი-ევროპა“ „როის წაკოკიალდება, ლადოს გარდა არც ვინ უწყის“ და „ამ დროს შაშა კონდუქტორმა, კვაჭიჭა სხალს ქე რო ჭამდა, მემანქანეს გადაკივლა: - წაი აწი! დაგვაღამდა!..“ ხოლო ლადოსეულ ქალაქურ სუფრას და პატიოსან საზოგადოებას გიტარით და ერთმანეთის მოსმენის კულტურით, კობა ასე თარგმნის: „თავისუფლება როს დასამარდა, წამოგვიხშირდა პურისჭამები, სუფრასთან, ბოლო თავშესაფართან, მხარიმხარ ჩასხდნენ ჩვენი მამები...“ ქვილთის ფერებში აჭრელებული თევზი კი მხატვარს საყვედურობს: „...მითხარ ლადო, თებზი ვარ თუ საბნის პირი.“

რომელი ერთი უნდა გამოარჩიო, ყველა კუნწულა ერთნაირად მწიფე და გამომწვევად კონწიალაა. ერთი ფუნჯით ამბობს, მეორე სიტყვით ხატავს. ლადოს ფერსავსე და მდიდრულად გაშლილი ფარშევანგი კობამ ასე აალაპარაკა: „არ გეგონოთ ფარშავანგი, მე გახლავართ იმერეთი...“. მიუყვები ლექსს და ფიქრობ, რომ შესაძლოა მხატვარმაც ასე ჩაიფიქრა. კიდევაც გაიფიქრებ, რომ ეს ორი ავტორი იმერეთს განსაკუთრებულად ეფერება, სხვა ელფერის იმერეთს ხატავს, არა კაკაბაძისეულს, და უცებ კითხულობ: „ჩემ დახატვას რას უშველის ფუნჯი გინდაც კაკაბაძის...“ თითქოს სულში გიზის, ფიქრში გიზის ორივე ერთად, მოგყვება ფიქრდაფიქრ, მიდიხარ ფინალისკენ და „...ამ დროს ვხედავ ვინცხა კაცი დასახატად მითვალთვალებს. ხოდა, გევიფხორე, მარა რო არ დავრჩი საკმარისი, ცოტას ლადო წამეხმარა, ცოტას - კობა, ძმაი მისი.“

სიურპრიზი
ტილო, ზეთი
100 x 90 სმ

თევზი
ტილო, ზეთი
60 x 80 სმ

- ქინძმრით ხო არ იკმაზები,
არც იჯრად ხარ განაწირი,
ხოდა რატო იდღლაზები,
გულამოფსკვნით რატო ტირი?
ისე უნდა გამოგხატო,
რო დაგედოს ფასი ძვირი,
- რაღა რატო, მითხარ ლადო,
თებზი ვარ თუ საბნის პირი.

როგორც ხედავთ, ხშირად მავიწყდება, რომ მხოლოდ წიგნის შექმნის ამბავი უნდა მომეყოლა, ისე მიტაცებს ლადოს და კობას ერთობლივი არაჩვეულებრივი გამოფენა. ვეცდები აქ შევჩერდე და დანარჩენით ტკბობის თავისუფლება დამთვალიერებელს დავუტოვო. დავამატებ იმას, რომ რამდენიმე ლექს-ტილოს სასკოლო სახელმძღვანელოებში შევიტანდი როგორც დაბალი, ისე საშუალო და მაღალი კლასებისთვის.

ამჟამად მათ კოლექციაში 300-ზე მეტი ნახატი და ლექსია, თუმცა ამ ალბომმა მხოლოდ მესამედი დაიტია. იმედია, კოლექციის დანარჩენ სეზონებსაც ვიხილავთ წიგნებად...

და თუ აქამდე მხოლოდ კობა ჭუმბურიძე მიმოდიოდა, ვით ტილოს ქურდი ლადო თევდორაძის სამყაროში, ახლა მე დავიპარები და ვათვალიერებ ამ უნიკალურ, უპრეცედენტო ექსპოზიციას და მიხარია, რომ მალე კარი გაიღება და ყველას ექნება შესაძლებლობა, შემოვიდეს, ნახოს, „რარიგ ახლოა ახლა ზეცამდე, რომელმაც სივრცე გამოგიწოდა და გაირინდა, რადგან იცოდა, რომ შთაგონებას აიწეწავდი“, ნახოს სამყარო, სადაც ადამიანი ადამიანს შეხვდა და სადაც ადამიანი გადარჩა.

აქ ხომ ერთი უტეხი და პირმოცინარი ქვეყნის, საქართველოს ცხოვრება და მისი ჭრელი სიზმრებია.

მუსიკოსები / ტილო, ზეთი / 100 x 60 სმ

მე და შენ

განმარტოებით, ციცქნა კუნძულზე,
პალმა, ნაპირი, თეთრი კარავი,
როგორც ალუბლის წყვილი კუნწულზე,
მხოლოდ მე და შენ, მეტი არავინ,
ბჟუტია ცეცხლის ათინათები,
თმები, ნიავით განაწეწები,
ტალღის შრიალის მიყურადება,
და ვარსკვლავეთში მზერის ცეცება.
ოცნება თვალის მოუხუჭველად,
და უეშმაკო ლექსის მაკრამე...
სულ ერთი კვირით, რადგან უჩვენოდ
მალე მოიწყენს ჩვენი ნაგრამი.

ბებია

არდაბაგს მიღმა გოში და მრეში,
მონატრებული დარის დარილი,
ჭადის ჩაფუნჩხვა ქაფიან რძეში,
ცოტა პიტნა და ცოტა მარილი.
ქსელის რადიო, თვლემა და ქსოვა,
კვამლი, ჩინჩხლები, კეცი, ქოთანი,
ამასობაში წერილიც მოვა,
ავდარშიც იცის ჟუტუმ მოტანა.

ბებო ფიწილით / ტილო, ზეთი / 80 x 60 სმ

ᲧᲠᲛᲐ / ტილო, ზეთი / 90 x 100 სმ

ცაში ბიჭო, გიორგუნა

დათუნიკა სხირტლაძეს

ჰერი ბიჭო, გიორგუნა, მომხედე და გამიგონე, არ გაუშვა ეგ გოგონა, ხოხობივით მოგოგმანე, ალვისტანა, მაცქატუნა, ფითქინა და ლამაზუკა,

მიდი, ბიჭო, მიუცეკვე, რა ფეხები დაგებლუკა.

მიდი, ქალი იმის არის, პირველობას შენგან ელის, პირველ ნაბიჯს, პირველ სიტყვას და გამხელას გასამხელის.

მერე მისი დგება ჯერი – მოგაშუქოს თვალი შველის, ამის მერე, დამიჯერე, არასფერი არ გიშველის.

ერთი შიშნარევი კოცნით ისე აგიდუღოს თავი, რომ ერთბაშად დაგავიწყოს წუთისოფლის ყველა ავი.

გოგოები კუჭკუჭებენ – საით გაშპა გულქანაო, ვინცხას ხო არ ელოდება სასიმინდეს უკანაო...

ნეტა შენ თუ გელოდება, მიდი ბიჭო გიორგუნა, მიდი, ბედმა თუ გარგუნა, ჩაიხუტე, ჩაიკონე, მერე ჯვარიც უნდა იფსკვნათ, აგერ არის ბარაკონი, მერე კიდო უნდა ის ქნათ, ჩუმად რო გაქვთ განაგონი,

რომ აკვანი, ხარატულა, ნაშიერით დაამშვენოთ, რომ ღუღუნა კერიასთან იმრავლოთ და ინაშენოთ თვალხატულა ფერიებად, ბოღორია ბოკვერებად,

აი მაშინ, დუნიაში, ვეღარავინ მოგერევათ.

ეგ წიფელა, ცაბიჯგელა, შიბაქებად დაგეთალოს, სიბერეში შვილთაშვილი გაჭირვებით დაგეთვალოს, გულქანამ კი კიდევ დიდხანს გიცხოს კვერი ბარბალისა, სანამ სრულად არ გაძღებით ცქერით მზიან ცარგვალისა.

მიდი, ბიჭო, გიორგუნა...

გინდა ღიმილის დაფარვა

გინდა ღიმილის დაფარვა,
ტუჩის კუთხეში მალავ,
ჩემს გულზე ფიფქად დაქარგვა
მოასწარ ნუკრისთვალავ,
ზღაპრიდან გამოპარულო,
ზაფრის დამცემო ძალავ,
ტრფიალის ალის მამდებო,
ბრიალა ნაპერწკალავ,
ისეთი შუქით ამავსე,
ისე მჩხიბავ და მთვალავ,
აგრე უღმერთოდ ლამაზი
რამ გაგაჩინა ქალავ...

სიურპრიზი / ტილო, ზეთი / 100 x 90 სმ

ზუსტი საათი / ტილო, ზეთი / 100 x 80 სმ

ლასოკობსნ

დაიხუჭება ახლა მერი და მე და ანუკი დავიმალებით, ძებნას დაიწყებს, ვიცი, სხვენიდან, თავისი მწვანე, კატის თვალებით.

ამ დროს ჩამოკრავს დიდი საათი, როგორც ყოველთვის, მოულოდნელი, გვამცნობს, რომ ფაფა ვჭამოთ ძალათი, თორემ საცაა მოვლენ მშობლები.

– მალე გიპოვნი, ეშმაკო კობა – ჩურჩულით მესმის ჩემი სახელი...

– ფარდის უკან ხარ, გიპოვნე ბაბუ! – გამომაფხიზლებს ბავშვის ძახილი...

ბაბუ? რა ხდება? რად დგას საათი? უეცრად ვიგრძენ რაღაცა ავი და იმ საათის ჩამქრალ სარკეში დავლანდე ჩემი ჭაღარა თავი

და მწადს გავძახო, რომ არ ითვლება, ვიდრე ათამდე არ დაითვლება...

მალე აღარც ის მემახსოვრება, ეს შარშან მოხდა, თუ იყო გუშინ, ასე გაფრინდა მთელი ცხოვრება, ვიდრე ათამდე დავთვალე გულში.

მაგოლიცთან ცეკვირია

ბუხარი რის ბუხარია, ცეცხლი თუ არ უხარია,
ხმელი შეშა თუკი ნახა, მაშინ უფრო უხურს ხახა,
ნეკერჩხალის ნაკვერჩხალი ქოცოს მათუხთუხარია,
კეცი უკვე მხურალია და კარდალაც მდუღარია.

აგერ ხელი წეიბანეთ, პირსახოციც უხმარია,
სანთლის ოტკა გაგვისინჯეთ, უჰ, რა ჩასახუხარია,
ხაჭაპური მიატანეთ, ახალგანახუხარია,
სტუმარმა თუ მეიწყინა, მაინძელიც მწუხარია.

ე ქალებო, პრასის წნილი, გეინძერით პაწა აწი,
ბაძგარია, ჭურს მოხადე, ნუ დამიხჩვე აი კაცი,
შალიკოსთან რო სტუმრობენ ქალაქელი გოგონები,
დეგვეწვიონ, წამეიღონ თავ-თავისი ბოკონები,
შალიკოსაც დამიძახეთ, დამდურება იცის მაგან,
აქანა თუ ვერ ვეტევით, გადევიდოთ სადმე სხვაგან.

სამზადისი ფაცი-ფუცი, ყველა საცხა მიდი-მოდის,
ვინცხა პუტავს ვარიკას და უბლაყუნებს ვინცხა როდინს,
ვინცხა ფხალზე აკიპკიპებს, უტყაპუნებს ჭადებს ვინცხა,
ვინცხამ კიდო თორნის პური ბუხრისპირზე მიაფიცხა...

ქეიფია კაკოლისთან, აიწევა მალე ჭერი,
კაცი თუა ქვეყნად ნეტავ ახლა მასზე ბედნიერი...

იმერული ხაჭაპური / ტილო, ზეთი / 100 x 50 სმ



თამადა / ტილო, ზეთი / 70 x 50 სმ

ცხმელოობელი

მადლობა თქვენდა, რა გითხრათ აწი, მთელი ცხოვრება თითქოს წინ არის, ცხოვრება ერთი ქართველი კაცის, უტეხისა და პირმოცინარის.

ჩვენ საქართველო გვერგო სამშობლოდ და ეს სიცოცხლეც მისთვის გვებოძა, რომ შთამომავალს დავუნარჩუნოთ მისი მიწა და საოცნებო ცა.

თუმცა მახვილი ბევრმა მომართა და მოსაშთობად ხშირად გაგვწირეს, ამაოდ დაშვრა ჯარი ყორანთა, ჯერ არ გასვლიათ ყავლი არწივებს.

ვისაც უთვლია ქორონიკონი და ვინც აუწევს დიდგორს ფიალას, ვისაც გაბურძგლავს ჩემი სტრიქონი და ვისი გულიც შეიძგრიალებს, ვისაც გამაღლებთ ეს სიყვარული, თამარის ფრესკად სულზე ნახატი,

თქვენა ხართ, ერთად, ჩემი მამული,
მრავალჭირვარამგადანახადი.

ლოტო

დაჟდა დოდა დაქალებში, რო უძახის დღემდე ბოჩებს,
ჭრელი ტომსიკა აქ ხელში, ახრიგინებს ლოტოს კოჭებს.
- ბოჩიებო, ფული თუ გაქთ, დღეს აბაზი იყოს კონი,
ჩემოვჟდეთ და ვიჭორაოთ, რამდენია მოსაგონი.
- მოდი ნინა გევიხსენოთ, გოგო იყო ალვისტანა,
მარა კოლექტივში შრომამ საფთხობელას დაამგვანა...
- მერე ვინცხამ დააფასა, ფასდებოდა ეს იმ დროში
და სულ მალე ეირჩიეს რაიკომის ბიუროში.
- გული მენდლით დეიმშვენა, გეიმართა ქალი მხრებში,
ბერიამ რო მეიხსენა სტახანოველ მეთოხრებში.
- ვიმპელებით სამსე იყო, სიგელებიც ბლომათ ქონდა,
ომი რო არ დაწყილიყო, სტალინსაც ქე შეხვთებოდა.
- გეიპრანჭა, იკოტინა, ერმალოსაც ეპოტინა,
კუპლეტებიც გამოუთქვეს - ნინა, ნინა, ჩემო ნინა...
- მეთოხარი არ ვიცი და წველავებს რო გვქონდა რგოლი,
იქ თუ გახსოვს დურცხი ლიდა, ჩვენი ბრიგადელის ცოლი,
მერგოლურად ქერო გვყავდა, ქახალდეფს რო აყალბებდა,
ჩვენ მონაწველს გვაკლებდა და სათავისოდ იფორმებდა.
- ცეკას რაფრა ატყუებდა, იყო დიდათ გასაკვირი...
- ქეკი გახდა მეწინავე წველავი და შრომის გმირი.
- ხო გამოჩთა, ტყუილებით ქვეყანა რო არ შენდება,
მარა ის დრო, ხანდახანი, მაინ ტკპილათ მახსენდება.
- ხრუშოვი არ მევინატრო, ისემც ძაღლი მიაკვტება,
დრო კი არა, ყველას ჩვენი გოგოშკობა გვენატრება.

ლოტოს თამაში / ტილო, ზეთი / 100 x 80 სმ

მოხუცები / ტილო, ზეთი / 100 x 80 სმ

ლაბრიუნები

მოდი ჩვენი ბავშვობისკენ ერთად გავინავარდოთ, მე რაინდი ვიქნები და შენ - პრინცესა ზღაპრიდან, ავი ყოფით დადაღული ფიქრი ასე გავართოთ და ცოტა ხნით დავიბრუნოთ, რაიც უკვე გაფრინდა.

მე შევისხამ შიმშერ მახვილს, დიდი პაპის ნაქონებს, სიზმრად რომ არ სიზმრებია მაღრიბელს და მაშრიყელს, რომ ვეება დევებსა და განძვინებულ დრაკონებს გამოგტაცო და ჩაგიკრა, გარდაგაჭდო ყელი ყელს.

მერმე უნდა მივატოვოთ სამეუფო მზაკველის, ალაყაფთან გველოდება ორი რახსი მერანი, წინ ხიფათით დაყურსული, დამღალავი გზა გველის და პირქუშის განაჭედი ნალფარების თქერანი.

წამო, დროით გადავლახოთ ქაჯავეთის სამანი, ხიდს გადავცდეთ სამშვიდობოს, ვიდრე გვესი გაგვიგებს, იქ დაისის ბოლო სხივი, მიმცხრალი და ლამუნა კოშკისაკენ დაკავკაულ კაპიშუკას გაგვიგებს.

ხატი ჟამთა, გარდასულთა, ნეტავ რამდენს დაიტევს, მისი ხიბლი, მისი ბებლი, გული, დანაისრები, ოცნებაში წარგიტაცებ, ვით შეჰფერით რაინდებს, ვიდრე სრულად შეგვისრუტავს აკვამლული ნისლები.

რატომ ცხოვრობთ

აბა დელი-დელაო და
ქალო, ფეხშიშველაო,
შინოური, გარეული,
შემოგევლოს ყველაო,
შენს გარშემო დავსუნსულებ,
გეპარები ნელაო,
საცხა მარტოს დაგიგულებ,
არსაით გაქ შველაო,
გიყელებ და დაგებრდღვნები
ვით ვარიას მელაო,
შენ ხარ ჩემი წერაო,
ჩემო თმაგიშერაო,
ჩითისკაბაჭრელაო,
ოდელია-დელაოოო...

ჩინცლავს / ტილო, ზეთი / 75 x 80 სმ

პირველი კოცნა / ტილო, ზეთი / 70 x 50 სმ

სტმის ყვავილი

როცა ვიგონებ შენს გაღიმებას,
მარჯნის ბაგეში ჩამუხტულ ვნებას,
კამკამა თვალთა უცხო საფირონს,
ასე უძიროს და უნაპიროს,
და გვირილების გვირგვინით შემკულს
მაგ თმას, ჩამოღვრილს ოქროს ჩანჩქერად,
რა მანქანებით ვუბრძანო ჩემს გულს,
რომ შეანელოს ძალუმი ძგერა.

არადა ბრძენთა მოგდევს კიჟინა,
რომ სიყვარული არის ტკივილი
და რომ როგორმე უნდა ჩაახშო
ამ უგუნური გრძნობის ყივილი,
რომ თურმე უნდა იცხოვრო მშვიდად
და დაიოკო სულის ქავილი,
როდესაც აღარ გაღელვებს დიდად
შაშვის სტვენა და ატმის ყვავილი.
და რომ ამგვარი გადარეცხილი
რეალობისთვის უნდა გაწირო
შეყვარებულის თავდავიწყება,
ასე ლამაზი და... სასაცილო.

ესაა გრძნობა, როდესაც გათოვს
პირველი თოვლის თოთო ფანტელი,
ღამე, როდესაც შენს სულში ათევს
განცდათა მთელი კორიანტელი,
როცა ღრუბლები ჰგვანან თოლიებს,
როცა რითმები თავად მოდიან,
ქარი რომ ტოტებს აიყოლიებს
და მათი ვალსის ჟღერს მელოდია,
როცა შხაპუნა ქსოვს ცისარტყელას
და შენ ამ კიბით ცისკენ აივლი
და ოცნებაში სულ თან დაგყვება
შაშვის სტვენა და ატმის ყვავილი.

იმერული ჭრილვაყაცია

– ტონიკო თუ გახსოვს შენე, ქე რო
უფშტვენს მგონი პაწა, აგრაფინას
ქორწილში რო გალუსტიკით
მეიწლაწა, ფილდიკოსის
ჩულქებიან ქალს რო თვალი
დოუპრაწა, ერთი ხელით ხაჭაპური
ჩანგალზე რო წამოაცვა, მეორეთი
ბარკალს წაწვდა და ტყემალში
ამოგნაწა, თელი სუფრა მოწრაწა და
გალუსტიკზეც დეიწრაწა...
– ბეჩა! მახსოვს, აპა არა? ორი ჭიქა
ჩაყლურწა და სუფრიდანაც გეიპარა,
ფეხი ისთე ეშლებოდა, ჭიშკრამდე
ვერ გეიარა, იქვე ბჟოლას მიეყუდა
და ხმამაღლა გააქარა, ბოლოს,
სახში წასაყვანათ პოლიკარპემ
ჩეიბარა.
– ხოდა აწი მაგ ტონიკო გამოსულა
დიდი კაცი. ახლა თითვან მიპასუხე,
ვის აცხია თქვენში წრაწი.

სადგური ფარცხანაყანები / ტილო, ზეთი / 50 x 160 სმ

სოფლის კლუბი / ტილო, ზეთი / 100 x 90 სმ



ნაჭრიმიერივ, ორეოსბიში

- ახალი რეჯისორი
ძაან ბღუნკი კაცია,
- რავა დეიფხორება...
აფსუს ჩვენი ფაცია...
- მაცა, რაცხას გიყობი,
სასეირო აწია,
ცაცა რო დოუნახავს
თვალი დოუპრაწია.
- შეხე მაგ კრუხის პალოს,
ქალებიც ნაყვარება!
საწყალს ჭაჟი მოუწევს,
ისე მე გახარება.
- კაი, რაის საწყალი,
წიხქვეშ გასადობია,
შავ კაცს ფითქინა ქალი
რაფრა დაახჩობია.
- ვა-ხა-ხა-ხა! ეგ კაცი
შენზე უფრო ბრაწაა,
ტუფლის მაზი უსვია!
დევიხჩობი საცაა!..
- არ შეგვშლიდეს ნეტეი,
დღეს უთქვია, რომეო
ცაცა ჯულიეტაა,
ბუჭუტია - რომეო...
ბუჭუს ცოლი ქე იცი,
კივა - არ შევარჩენო!
ქმარს ისე ყარაულობს,
ვითამ ყავდეს მარჩელო...
- ასე იცის შექსპირმა,
ინტრიგები ძაფრდება.
„ყვარყვარე“ რო დაგვიდგას?
- უფ! რავა ეკადრება!
- კაით, რას ჩააჩემდით,
თლა მიწაში ნუკი დობთ,
მაგ ლაპარიკს ჯობია
თუთუნს რო წოუკიდოთ,
ვაღიაროთ, ქონია
გემოვნება დიდრული,
თქვენი წონა, გონია,
წიგნი აქ წაკითხული.
- კი აქ, მარა რათ გინდა,
ვინმე ართმევს თუ?
უცხვიმპირო არი და
ნამეტანი ღჯუ.
დღეს სალამიც არ
მითხრა...
- მეიცადე! ჩუ!
გესმის რამე გაღმიდან?
- წურწუმელა წუუუუ!



მიცვივების ყვირილა

არა და არ დაგველია საგიჟმაჟო იდეები,
გარს შაგრენის ტყავი გვაკრავს და უფსკრულის კიდეები.
ბრაზით და ამპარტავნებით ვერა ვხვდებით რომ ვევნებით,
ახლა უკვე საქართველოს სამოთხიდან ვიდევნებით,
გახსენ გული, დარაზული სიამაყის კლიტეებით,
თუნდ მცირე ხნით განვიწმინდოთ ერთმანეთის მიტევებით.
სიყვარულზე საოცარი განა რამე გვაბადია?
სხვა საუნჯეს რას დაეძებ, მოყვასმა თუ გაპატია.

მრევლი / ტილო, ზეთი / 100 x 100 სმ

წუნიაც - ნაბრიკვალოთ

- ოღონ უცეფ არ გახედო, ვილისთან რო დგანა, ცხვირა,
- უი, გოგო, ეგ ის არი, კოცნა ქე რო დაგიპირა?
- ერჯენ ქე რო გოუცინე, იმის მერე მეკურკურა,
ახლოს რო არ გევიკარე, იწყინა და დამენდურა.
შეხე, გოო, ჭროღა თვალებს რაფრა კაჭლავს ეგ თავხედი.
- შენ რაღატო გეიტრუნე, აქამდე რო არ მიმხელდი?
მე თუ მკითხავ, კაი ქენი, ეგ არ არი შენი სტორი,
მასზე უმფრო შესახედი კიდო ქეა ერთი-ორი.
- ახლა შამშეს ეკას მიდგა, სამსახურის კართან ხვთება.
- შენ სეირი მერე ნახე, ეკაც თუკი ატროვდება.
- გაჩეთ აწი, თანდათანი გოუფშტვინეთ ნამეტნავად,
ან ეკამ რა დაგიშავათ, ან ბიჭმა რა დაგიშავათ.
ჩამოგარჩენთ სხვის საქმეში ასე ჩაკირკიმალება,
სხალი რო გადაწიფდება, საბოლაოთ ღორს დარჩება.
თქვენ ლაპარიკს ვინც აყობა, კაი დახლი დოუდგება,
ატროვდება კიარა და ვეღარასდროს გათხოვდება.
ეგეც მალე გამოჩთება, ვის შერჩება აწი ფუწი,
თქვენ იჯექით მაანა და აკმაკურეთ ხანტრაბუცი.

დაქალები / ტილო, ზეთი / 100 x 80 სმ

იმ ჯუთაიანელი თამადისა

სულხან მამისეიშვილს

თავისუფლება როს დასამარდა, წამოგვიხშირდა პურისჭამები, სუფრასთან, ბოლო თავშესაფართან, მხარიმხარ ჩასხდნენ ჩვენი მამები, რამეთუ არსით, გარდა წარსულის, არ დარჩენოდა სულს გასაქანი...

თუნდ ვეება და უკიდეგანო, საკანი მაინც არის საკანი.

აქ დრო არავის ახსენდებოდა, აქ სიტყვა იყო საქმე, ქებული, ტყვეობის ვადაც ასე დნებოდა, ქართველობისთვის დაწესებული.

აჟღარუნებდნენ ენებს მამები, მომავალს ჭვრეტდნენ დაიმედებით, იკრიბებოდნენ, სათქმელს ჩურჩულით ეპარებოდნენ, ხოლო დედები ფერიებივით არაფრისაგან აკოწიწებდნენ ზღაპრულ პურმარილს, როდესაც ლუკმა იყო დათვლილი და მაინც ღვთისა იყო სტუმარი, რომ კაცებისთვის თუნდ ერთი ყლუპი ეჩუქებინათ თავისუფლების...

და იცლებოდა ფისო-ყულაბა, რომელსაც ერქვა „ლაკის ტუფლები“.

ნუნუას მადლით ისევ ღვიოდა სული, ბორკილით განაწამები, დრო მიდიოდა, მამებთან ერთად სასჯელს იხდიდნენ სელის სკამები,

და როცა სუფრა დააპირებდა განმარტოებას თავის ნაღველთან, სკამზე შემდგარი მასპინძლის ლეკვი შეუბერავდა მიმქრალ ნაღვერდალს:

„- ვინა სთქვა, თითქოს პატარა იყოს ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი,

ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე, ვინ მოიგონა სიმცირე მისი...“

ღვიოდა სული, გულებს კი ხრავდა ავი დროების სუსხი მზაფრავი და იმედისკენ გაწელილ გზაზე ემატებოდა საფლავს საფლავი...

ნაბრძოლ-ნაგვემო თაობავ ჩემო, ჩემო ჭაღარა ლომების გუნდო, თავისუფლების რა იცის გემო, ვისაც არასდროს სდებია ხუნდი.

ნიშნობა / ტილო, ზეთი / 100 x 200 სმ

ცხენი / ტილო, ზეთი / 120 x 100 სმ



სოლოლოფრი ლექსი

სიყვარული რო გაგტანჯავს, მაშინა ხარ ცოდო, თუ ხარ,
თმაკუნაპეტს, ბაგემარჯანს, ან სიზმარში სად წაუხვალ,
თუმც ამაოდ გამიხარჯავს სააშიკო გარჯილობა,
საიმედო არსით არ ჩანს, არის ქიშპი და ცილობა,
ყველა კუდურს, ყველა არჯალს, მოსდომია მაცილობა,
ვინ შეგარჩენს თურმე ჯანჯალს, უნდათ ჩვენი დაცილება,
ყური მეგდო, ხომ მიჯობდა, ჭკუას ქე რო მარიგებდი,
ალბათ ჭკუა არცა მქონდა, თორემ რად ვერ გავიგებდი.
აკი მითხარ – ბიჭო, ნეტა უნაგირზე გადამკიდო,
ქვეყნის კიდე იპოვე და გადამმალე, ანდა კიდო
ნუ გაამხელ დაფარულსა, თორემ შეგვიშურებენო,
„შეგვიტყობენ სიყვარულსა, დაგვაშორიშორებენო“...

ანა-მარია

ანა-მარია, მე შენს თვალებში
ცა დავინახე, ოღონდ რომელი,
თავად არ ვიცი, რადგანაც ჩემთვის
იყო უცხო და მიუწვდომელი,
იქნებ იმიტომ, რომ ის შორია,
ანდა იმიტომ, რომ სიზმარია...
რაც მთავარია, მე შენს თვალებში
ცა დავინახე, ანა-მარია.

მოლოდინი / ტილო, ზეთი / 100 x 80 სმ



გრამაფონი / ტილო, ზეთი / 80 x 60 სმ

ჯოიან თვრთვცა ბოემური ჯერში

ლიზას გრამაფონი ჩამოუტანია,
ამას ვნატრულობდი ამდონი ხანია,
სულ არ დეენანა ან დრო და ან ფული?
მარა, ვეცოდები შინ რო ვარ დამბული.
რემატიზმს რა ვუთხრა, ვეღარ ვერეოდი,
თვარა მე სცენის ტვერს ვერ შეველეოდი.
ჩემ ჰამლეტს იხსენებს დღემდე ქუთაისი,
მარა ნაადრევი დამიდგა დაისი.
ფირფიტებს ჯერ ნევსი არა აქთ ნახლები,
თლა ცინცხალებია, თლა ახალთახლები,
ა, სარაჯიშვილი, ა, ქუმსიაშვილი,
ა, აღნიაშვილი, სანდრო ინაშვილი,
ა, შალიაპინი, ბანია თავარი,
ა კიდო კარუზო, ტენორი რავარი,
რა დონე ყოფილა, სმენას რო ვენდო,
იქნება ცოტა მეც ქე ვიმღეროო
...
- ლა დონა მობილე,
ქუალ პჲუმ ალ ვენტო,
მუტა დ’აცცეეეენტო
ე დი პენსჲერო!.



ცვლილებამი

მაღლით
გარდამოხედ
ძეო გამჩენისა,
ჯვარცმა იდევ თავს და დაფვლა სამის დღისა,
რათა დაგეხსენით ცოდვათაგან ჩვენთა,
ცხოვრებაო ჩვენო, მაშ დიდება შენდა!
ხოლო საქართველო, კელაპტარი წმინდა,
კერპად მობირბილე ალი სერაფიმთა,
შენი ერთგული და შენი მოესავი,
კურთხეული ჰყავი და არიდე ავი.
მისი შვილი ყველა და სუყველა მხარე
იყვარებდეს ერთურთს, ვით შენ შეიყვარე,
მოაქციე რწმენის და სიკეთის დვრიტად.
...
მაცხოვარი აღდგა!
ამინ!
ჭეშმარიტად!

აღდგომა / ტილო, ზეთი / 60 x 80 სმ

კაცი ფლეიტით / ტილო, ზეთი / 100 x 80 სმ

მიეფიცოო ვალოცი

რარიგ ახლოა ახლა ზეცამდე,
რომელმაც სივრცე გამოგიწოდა
და გაირინდა, რადგან იცოდა,
რომ შთაგონებას აიწეწავდი
და შეაფენდი საგალობელად
გრძნებით მოსილი არე-მარისა,
შენთა ვნებათა დასაპყრობელად
მთვარის შუქი რომ ისაკმარისა.

არა ხარ მარტო, შენს გვერდით არის
ჰანგი ტიტანის, ნაპერწკლიანი.
აბრუნდებიან ინი, იანი
და ერთმანეთის ხდება ზიარი
სული, ამგვარ ჟამს ზერე რომ ილტვის,
რომ ცადა ჰპოვოს თავშესაფარი
და ვარსკვლავეთი, მაესტრო ლისტის
ამბოხებული ვერცხლის ფაფარი.



როს შვინდი ავფეთქებული

როს შვინდი, აფეთქებული, ეკეკლუცება ქიზ ქარებს,
ან ვარსკვლავების კრებული კამარას მოასიზმარებს,
როს რიბირაბო იალებს და ნაკადული წკრიალებს,
ყელაღერილი გვირილა სიოსგან შეიჟრიალებს,
ელვანა როცა გაკვესავს, ფიფქი რომ თვალში ჩადნება,
და ასპიროზი, ჩახჩახა, მზეჩაის დაექადნება,
ცას რო გაკაწრავს ნამგალა, თავის სილაღის მკვირველი,
ყოველთვის გამახსენდება შენი დანახვა პირველი.



დიასახლისის სადღეგრძელო / ტილო, ზეთი / 100 x 80 სმ

ნიუ / ტილო, ზეთი / 100 x 70 სმ

ცოდვამოსილო

როცა ევამ, შობილმა ისევ ჩვენი ნეკნიდან,
აკრძალული ნაყოფით შეგვიცდინა ადამი,
ამოივსო ედემი ნარითა და ეკლითა,
მახრჩობელა ბუსუსით დაიფარა ატამი.

მაგრამ, რომ არ ეჭამა, ვითომ ის აჯობებდა?
ნუთუ დიდხანს გაძლებდა მწიფე ლეღვის ამარა.
ეს არა სჯობს, ახლა რომ მადას ვერ ვიოკებთ და
ხინკლით გამოტიკნილებს აღარ გვწვდება ქამარი?

ალებო და დალებო, ტყაშმაფებო, ელფებო,
მაცდურებო, ეშმებო, კაცის გამაწვალებო,
მაინც ჩვენო კერპებო და სიცოცხლის ღველფებო,
საკაცეთის სახელით გეხუტუნეთ ქალებო!

შეკვეთილი ოქროს

- იმე! ჩემო იმანო, მიტუშა ვარ, გაღმელი,
შენ ხო ცაცას გოგო ხარ? აღარ მახსოვს სახელი.
ის ქე მახსოვს, ჩვენ კლუბში ჟანა რო ითამაშე,
მთხოვნელების რიგი რო დოუყენე მამაშენს...
- ეჰ, საცა ვმუშაობდი, ყოლიფერი დახურეს,
ახლა ოქროს ვიბარებ, კალიცოს და საყურეს,
კულონები, ცეფები, ბრასლეტები, ბროშები,
რაცხა თუ არ ვიშონე, დამემშევა ბოვშები.
იქნებ იმათ მოესწროს უკვეთესი ცხოვრება,
ჩვენ რა დრო გევიარეთ, ვიღას ენახსოვრება.
- მართალს უნობ, სიცოცხლე ისთე გაგვიწკვარამეს,
ცივი ჭადი იყოს და ვიღა ჩივა სხვა რამეს.
მე ჯერ ვერ მოვახერხე სამუშევრის მიგნება...
ჩემი ლოლას საათიც ჩეიბარო იქნება..

გადამყიდველი / ტილო, ზეთი / 80 x 60 სმ

აკრძალული ქალაქი / ტილო, ზეთი / 100 x 50 სმ



ცვლილმა, წვიმა და მოლოდინი

ცით მეოტია დარი ნოტიო,
ქუჩამ უცები და უცნაური
ჩამოიფხატა ბინდი.
მხოლოდ ჩრდილები მიდი-მოდიან,
თვლემს ლამპიონის ნისლა აურა
და იზმორება ხიდი.
წვიმას თავისი აქვს მელოდია
და აღარ ისმის აქ სხვა ხმაური,
ნიავიც გაირინდა.
გარეთ - სამყარო, სევდისოდენა,
შუაში - რკინის სველი ცხაური,
აქეთ - ეული რინდი.
სარკმელთან შენი ჩავლის ლოდინი,
და ეგ ღიმილი, არაქაური,
ცის ნაჟურივით წმინდა
და მოყვავილე შინდის ტოტივით
სამკაული და დღესასწაული,
დასასიზმრებლად მინდა.

ცივმცოცბილობა

- კაი იყო?
- კიე, მარა არ მომეცა გასაქანი...
- წავალ, ჭადებს გამოვაცხობ...
- დარჩი კიდო პაწა ხანი...
წუხელ ციცქა მომერია,
თავი მქონდა ვორი ფუთი,
- იმ ქალს თავს რო აწონებდი,
კი იყავი გასაპუტი!..
- ვიზე უნობ, აღარც მახსოვს,
ნუ მოაბი გლახა კუდი...
- მოხვრიპე და გეიხსენებ,
მანა გიდგას ცივი ლუდი.
- ოღონ ახლა ნუ გამბურღავ,
ჩემზე იყოს ნორკის ქუდი.
- რას აპირებ შე სულელო?
კაი, კიდო ვოცი წუთი...
- ხიცი-ხიცი...
- ღუტი-ღუტი...
- შენი ბედი, უსაშველო
ბუტიობა რო არ ვიცი...
- ღუტი-ღუტი...
- ხიცი-ხიცი...

ალეერსი / ტილო, ზეთი / 70 x 50 სმ

ბებო უთოთი / ტილო, ზეთი / 100 x 80 სმ



***

- ბებო, ბაღში სპექტაკლი გვაქვს,
მე გვირილა ვიქნები,
თეთრი კაბა სად ვიშოვნო,
არ მასვენებს ფიქრები.

ბებომ ეს რომ მოისმინა,
დიდხანს არ დაახანა,
ჩიქ-ჩიქ-ჩიქ-ჩიქ - აფუსფუსდა
საკერავი მანქანა.

მალე კაბაც დაიბადა,
უხ, რა მშვენიერია,
შენ ბებიკო კი არა და
ხარ ზღაპრული ფერია.

რა ჰქვია პატარებს

მოდით ბავშვებო, ჩემოვყვეთ,
რომელ პატარას რა ჰქვია,
დათვი რომ დაიბადება,
განა მაშინაც დათვია.

პატარა დათვი ბელია,
ლეკვი - პატარა მგელია,
ლიფსიტა თევზის შვილია,
ნუკრი - პატარა შველია.

კურდღლის შვილია ბაჭია,
ბაცაცა - ციცქნა ბოცვერი,
პატარა ღორი გოჭია,
პატარა ლომი - ბოკვერი,

კამეჩის პირმშო -ყოყინა,
პატარა ბატი - ჭუჭული,
პატარა თაგვი - წრუწუნა,
პატარა ვირი - ჩოჩორი,

ძროხის ნაშიერს ხბო ჰქვია,
კატის შვილი კი კნუტია,
პატარა ცხვარი - კრავია
პატარა მტრედი - ხუნდია,

პატარა ცხენი - კვიცია,
ხოხბის პატარა -- ლაპია,
არწივის შვილი - მართვეა,
ზაზუნას შვილი - ღლაპია,

წიწილა ქათმის შვილია,
ფოთრი - პატარა ჯიხვია,
პატარა სპილო - სპლიყვია,
ბჟიტი - პატარა იხვია.

შევარდნის შვილი - ქულაა,
ფარშევანგისა - ნამლევი,
ინდაურისა - ჭუკია,
კოზაკი - ნორჩი აქლემი,

პატარა თხაა ციკანი,
ბარტყი - პატარა შაშვია,
ყვავის შვილია ბახალა,
ადამიანის - ბავშვია,

უჰ! დავიღალე, ამდენი
არც კი მახსოვდა, თუ იყო.
ნეტავი კუს შვილს რა ჰქვია,
კუსუსუნა თუ კუიკო?

ობოლი / ტილო, ზეთი / 25 x 30 სმ



ოჯახი

გოგოს ფიქრი
ფეხსაცმელზე დამაჩერდა გუშინ ჩემი მამიკონა,
უცებ თვალი მოეცრემლა, გულში მაგრად ჩამიკონა.
ბიჭის ფიქრი
მალე მინდა გავიზარდო, ღმერთს სულ ამას ვეხვეწები,
ღონიერი რო გავხდები, მამას მხარში დავუდგები.
ცოლის ფიქრი
ყველას ასე გაგვიჭირდა, ქვეყანა რო ეირია,
ბევრი იქით გაეშურა, საცა მეტი ხეირია,
გუჯამ - თავს აქ დავირჩენთო, არ წავალო ქვეყნის კიდეს,
ყოჩაღია მამათქვენი, რასაც იტყვის, იზამს კიდეც.
კაცის ფიქრი
გაქრა ჩემი სამსახური, მომავალი გამიხუნდა,
წავალ, გუთანს ვინათხოვრებ, ინჟინერი ვიღას უნდა,
მერე არჩვებს ავაკითხავ, კიდევ მახსოვს მათი ბინა.
გაჭირვება რას დამაკლებს, ღმერთმა სვანად გამაჩინა.

სვანური ოჯახი / ტილო, ზეთი / 100 x 130 სმ

წისქვილოსნ

ვიდრე ხანდარა მარტი დაიბეჩავებს ავდარს, ტყემლის ფიორა კვირტი ედიდგულება ზამთარს.

ქრის აბეზარი ქარი, თებერვლის ავი კუდი, ამღვრეულია დარი, თქეშს ენაცვლება ფრუტი.

ხან რომ შხაპუნა წვიმა დაუჭაქუნებს კრამიტს, ხანაც ჭიატი მცირე შემოაბრუნებს ამინდს.

ნიავს ჭორივით დააქვს ფთილა ფოშფოში ნისლის.

რა საამური ხმა აქვს ხევში გამართულ წისქვილს, უძირო გუდას ზღაპრის, თავადაც ლამაზ ზღაპარს, გზას შერჩენილი მგზავრის იმედს და თავშესაფარს.

ღარს დასხლეტილი წყალი ჩაუხვევია ბორბალს, კოტრიალობს და ბორგავს, როგორც აშიკი ცხარი. თავბრუდახვეულ დოლაბს კრიჭა უზოგავს ხორბალს, საკვამურს ცაში ბოლის აუკლაკნია ხიდი, მოღონიერდა ბინდი, ბორცვები გადახუნდა, ზის მეწისქვილე ბონდო, ბევრი არც არა უნდა, ცოტაოდენი მინდი, ორი იმდენი – ჭორი, აჰა, ეშველა მგონი, მგზავრი გამოჩნდა შორი.

მალე გუზგუზა ბუხარს მიუცუცქდება ორი და მონდომებით გაჩხრეკს ყოფიერების ავ-კარგს, მოიგონებენ ამბებს, გარდასულსა და გამქრალს, და ამ დუდუნის მიღმა სევდის ელფერი დაკრავს ღარში ნაკადის რაკრაკს და სარეკელას რიკრიკს,

წისქვილმა ფიქრი იცის, ფიქრი შორეთში მიქრის...

საიდუმლოსი, დიდის, მოგეძალება განცდა, წუთისოფელი, ფლიდი, რა დაუნდობლად გძარცვავს, როცა სიცოცხლეს შენსას ისე ღერღავს და ნაცრავს, როგორც ბუხარი წკირს და როგორც დოლაბი მარცვალს...

სმენას მოგტაცებს წამით შურშული ხმელი ისლის, ამ ბურდებიდან ღამით ჭინკის ფხაკურიც ისმის, ბუხარში ფიჩხი, სველი, ბრაზობს, ნაპერწკალს ისვრის, მოჰყვება ხიბლი ძველი ხევში გამართულ წისქვილს, სადაც ფიქრი და განსჯა ხანდახან ლექსად იშვის და იწრიტება ხვიმრა, როგორც საათი ქვიშის, სადაც დოლაბის ღირღილს უხამებს გული ძგერას და გაუმხელი შიშით ეპოტინება მზერა ნისლეულების გროვას, შორეულ ცაში მბოლავს

და თვალსაწიერს ჩვენსას,

ერთ უზარმაზარ დოლაბს.

ABAZA
ABAZA
ABAZA

ᲐᲑᲐᲕᲔᲑᲘ
ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲘ
ᲠᲝᲜᲘ
ᲠᲝᲜᲘ
ᲡᲐᲛᲬᲕᲔᲠᲘᲡ
ᲩᲮᲝᲠᲝᲜᲯᲘ
ᲤᲮᲘᲚᲘ
ᲩᲮᲐᲠᲘ
ᲛᲝᲮᲣᲠᲬᲕᲘᲚᲘ
ᲑᲐᲮᲩᲘ
ᲚᲘᲛᲝᲜᲘ
ᲤᲘᲠᲘᲜᲯᲘ
ᲒᲐᲠᲓᲘᲜᲘ
ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲝᲮᲐᲒᲕᲚᲘᲡ ᲓᲔᲠᲩᲘ
ᲡᲘᲜᲯᲘ
ᲤᲣᲗᲘᲚᲘ



ნატურა ალა / ტილო, ზეთი / 80 x 70 სმ

ატოკდა უნაბის ტოტი

აპრილის პირველი დილა,
ჭიკჭიკით აივსო ჭალა,
მზემ ცას გაუხუნა ლილა,
ბწკალებში ჩაუდგა ძალა.
აფეი დაშვენდა კორდებს,
მერცხლებმა კამარა შეკრეს,
ფუტკრებმა ზუზუნი მორთეს,
როკვა გაუმართავთ პეპლებს.
ატოკდა უნაბის ტოტი,
სიო დაიწვინა მკლავზე,
ჰაერში გამეფდა შფოთი,
საამო სასოთი სავსე.



პიცა თუ ხაჭაპური

უცბად გააქტიურდნენ სნობები და ბოზები,
აღარ აკმაყოფილებთ სექსი მამა-პაპური,
ახლა დროა ვისწავლოთ დასავლური პოზები,
გავარკვიოთ რა გვინდა, პიცა თუ ხაჭაპური.
ახლებურად ცხოვრება ნუღარ გვეჩოთირება,
აზიატი გოიმის რომ არ გვერქვას სახელი,
ხდება სავალდებულო ტაკოს ტატუირება,
ქვედა ბალანს სჭირდება ცალკე პარიკმახერი.
შეამჩნევდით, სიგლახე რა სწრაფად გვეუფლება,
თუმცა ერთი თვისება დაგვრჩა გაუხუნარი,
ძალზე ფინთი საკვების, ფინთი ხელისუფლების
და თვით ფინთი ეპოქის მონელების უნარი.



მეძვების მიტინგი / ტილო, ზეთი / 100 x 80 სმ



ქალიშვილის პორტრეტი / ტილო, ზეთი / 60 x 40 სმ

ოიოიოო

რაც შენ გიხილე, მინდვრის ღიღილო,
არ მინატრია სხვა რამე უნჯი,
მე მენატრება შენი ღიმილი
და ეგ თვალები, ზღვასავით ლურჯი.
თუმცა, ხმამაღლა ვერ ვაღიარებ,
და თუ ოდესმე გავბედავ ამას,
დაუშურველად გაგიზიარებ
ასე წამლეკავ და ასე ლამაზ
სიგიჟეს, ჩანგად რომ შეგაღერებს
და აგაჟღერებს ისეთ ჰანგებად,
მთელს თვალსაწიერს რომ აამღერებს
და ჟერჟელიად დაექარგება,
დაეკარგება კაბადონს ჭერი,
აღავღავდება ყოველი მუნჯი...
მე ცისარტყელამ მაჩუქა ფერი,
აპრილის წვიმის შევკარი ფუნჯი,
დავიმორჩილე რითმები შერი
და მოვარჯულე სტრიქონი ურჩი,
რათა დავხატო ღიმილი შენი
და ეგ თვალები ზღვასავით ლურჯი.
გულისნადები, რაც ვერ გითხარი,
უდაბურ ქუჩებს გავანდო ლამის
და ეს სიმღერაც პასუხი არი
ჩაბარუხივით მბორგალი ღამის.
ეჰეჰეიიი...



საქართველოსთვის

დათო პაპუაშვილს

ნეტავ რა არის სამშობლო, თუ არა ზეზვას ყივილი,
თუ არა ვაჟას ბუბუნი და ქეთევანის ტკივილი,
სამშობლო შენი ერია, ნაწამები და დაღლილი,
დიდი ალაზნის ველია, მისი მზვარე და ნაგრილი,
ბედიაა და მარტვილი, უშგულია და შატილი,
ვენახი, პაპის ჩაყრილი, შენი დედილოს მანდილი,
შენი ლეკვების ხითხითი, მეუღლის სველი თვალები,
მიწა, რომელსაც აჩნია თამარის ნატერფალები,
ეზო-ყურეა, კერია, ტაძრებია და მთებია,
სამშობლო ყველაფერია, რაც ისე მოგნატრებია.
რომ ამოდენა სამყარო ერთ ფიცხელ გულში ღივდება,
საქართველოთი რომ დუღს და
საქართველოსთვის ცივდება.

აგხაზეთის გზაზე / ტილო, ზეთი / 50 x 70 სმ

ოჯახური იდილია / ტილო, ზეთი / 100 x 50 სმ

დიალოგი ლოგინში

- ზაპჩასტები გვითავდება,
სარატოვში მივალ ხვალე,
რავა სუ მე მაგზანი-თქვა,
უმფროსს პირში მივახალე.
რა მეხვერწა, რო იცოდე,
შემეცოდა ეგ ლობიო,
- არ დამღუპო არქიფოვიჩ,
სხვას არავის ვენდობიო...
აქვე არის სარატოვი,
განა სადმე დაკარქულში,
ერთ კვირაში აქანა ვარ,
ჩაგეფსკვნები შაქარგულში.
...
ფიქრად ნაპასუხები
- ვიცი შენი მივლინება,
ესენტუკში მიხვალ ხვალე,
ჩიტმა ენა მომიტანა
იქ რო ქალთან იხვანხვალე.
წაი, როის დამიშლია,
დოუბამი ხვადი მყავხარ,
აფირისტი ქე ხარ, მარა
რა ვიღონო, რო მიყვარხარ.
ვიცი დიდხანს არ შერჩები
ალიონებს და მატრონებს,
რუსული შენ არ იცი და
არც სიმავრი გიპატრონებს.
...
ხმამაღლა ნაპასუხები
- წაი, ჩემო პუმპურიკა,
როის მითქვამს შენთვის
ვარი,
ლურჯი ბროშკა წამომიღე
და ელექტროსამოვარი...

წვიმითხვეს, ცოცვინოლოცვ მოციჟოლონი ლივგვარ წერილ

დღე რა უცბად გამეპარა სამზადში და მარანშია,
ვახშმის დროა ჩემო ყველავ, ადე, ნუთუ არა გშია?
ზურგიელი, სუკი, ყველი, იქაც მსუყე ბოზბაშია,
არც ვინ არი შენი დარი ჯამში ჰურის მოსმაშია.
ვიყოჩაღე, ჩემი ვაცი რაზედ უნდა დამემშია?
გენაცვალოს დარეჯანი მაგ ნამგალა წარბებშია...
– სიყვარულით მაძღარი ვარ! არც მწყურია, არცა მშია!
ლუარსაბი გეხუტუნოს მაგ ბუთქუჩა ღაბაბშია!
ღმერთის გარდა ვინ მამცემდა ქალსა მე შენსნაირასა,
კვანწი ჰქენი დარეჯანო, მე შამოვკრავ დაირასა,
პაწპაწინა ნიგვზის ტოტო, ნუ დამლიე ყოყმანითა,
მოდი, გული გამიხარე მაგ ნარნარი გოგმანითა,
მემრე აქვე კოტრიელა, მე კი გეტყვი ნანასაო,
ჩუპრი-ჩუპარ, ჩუპრი ჩუპარ, ჩუპრი დარეჯანასაო.

მეზობლის დედალი - მეზობლის მამალი / ტილო, ზეთი / 40 x 60 სმ

ლობიანი / ტილო, ზეთი / 70 x 50 სმ

გოგუცა და მინადორა

კაი ათი წელიწადი ბედმა დააშორიშორა
გადამბული დაქალები გოგუცა და მინადორა.
ერთმანეთის სანახავათ ვეღარასფრით მეიცალეს.
ახლა ზარი გეისმა და მინადორა აღეფს კარებს.
- უი, ხო არ მომეჩვენე, ეს ვის ხედავს ჩემი თვალი,
დედაშენი გამახსენე, გოგუცა ხარ ალი-კვალი.
რაფრა აგიყრია ტანი, გათხოვდები, საცა არი.
ნახე შენე, თფილისელი თუ არ მოგინახო ქმარი.
გაპოვიო უნდა ბედი, ქე რა ვიცი მაგის მეტი!
- სა მცალია გასათხოვრად, სასტავლებლად ჩამევედი,
მევილიე გამოცთები, საექთნოზე ჩავაბარე,
სანამ ბინა გამოჩთება, იქნობამდე შემიფარე.
- შემიფარე რას მიქვია, აქიდანი ვერსა წახვალ,
დედაშენიც ხო ჩამოვა? მენატრება მისი ნახვა.
შენც მოგივლი, ეგ ლოყები ქე გაქ კარქათ დასაბრაწი,
ბეჩა, რაფრა გამახარე, სა გაგიშობ ბოშო აწი.
ჩამოსკუპდი შენ აქანე, მე ქუხნაში ვირბენ თანე,
ეს ბარკალი გადეიღე, ცხელი ჭადი მიატანე.
ჭყინტი ყველით გატიკნილი ხაჭაპურიც მალე მოვა,
დააკარე რამეს პირი...
- მალობთ, გულმა დამითხოვა.
- ჭამა-სმა თუ აგიკვეთა, აპა რას გთხოვს შენი გული?
ჩიტივით რო იკიკნები, ქეც მიტო ხარ გაჩხინკული.
ჯიუტი ხარ, გატყოფ, მარა, მაცა შენე პაწა ხანი,
დედაშენმაც ვეღარ გიცნოს, თუ ფერვანი, თუ ხორცვანი.
ვინც დიეტა მეიგონა, ვითამ რასმე უნობს სტორა?
...
რა დროს ფერვან-ხორცვანია, შენ მეისპი მინადორა...

თამადა

- უკაცრავად, შეკითხვა მაქვს,
დრო თუ გემეტებათ,
სამშობლო რომ ჩამორჩება,
თქვენ არ გედარდებათ?
დღეობები, ძეობები,
დიდი ქორწილები,
მხოლოდ ჩვენ ვართ საქეიფოდ
თითქოს მოცლილები.
არ აჯობებს რომ შრომაში
ეს დრო გაიხარჯოს?

- საქართველო ვისაც გიყვარს,
ყველას გაგი-მარრ-ჯოს!
ფიქრობ, რაც რო ვქენი აქ მე,
გასართობიაო,
მარა ქვეყნათ არა საქმე
მას არ ჯობიაო,
ჩვენი ხალხი ასეთია
ათასწლებიაო,
ყოფნა ისე უცებია,
მოსასწრებიაო.
ხარჯვა ვისაც ენანება,
რა შერჩენიაო?
ჩვენთვის კიდო ეს ცხოვრება
მოსალხენიაო.
მე ამ საქმეს მასტავლიდა
დიდი ჟორიაო,
- თამადაო ჯაზ-ორკესტრის
დირიჟორიაო.
თუ ვერ იგეფ,
მაშვინ ნუღარ შემიკიკინეო,
დღეს აქანა ვიქეიფებ,
ხვალე - იქინეოოო.



თამადა / ტილო, ზეთი / 80 x 60 სმ

სიმღერა / ტილო, ზეთი / 100 x 80 სმ

იმერული იმიგრანტების სიმღერა

მენატრები, შენი სიო მენატრება,
შენი ქები, შენი საყდრის კელაპტრები,
შემოდგომის ფერდობები, ფერადები,
ლურჯი
მთეე
ბიიიი.

ვის უხდება, შენნაირად ვის უხდება
გაზაფხულზე კორჩიოტას გაღვიძება,
ტყემლების და ალუბლების აფეთქება
ვის
უხდეე
ბაااა.

გიმღერეთო, ყელიც ქე მოგიღერეთო,
და სიმღერით გული ვერ მოვიჯერეთო,
სანატრელო, ცრემლებამდე სანატრელო
იმე
რეეეე
თოოოო...

იმღერიხა ჰოლიყარჰეს

ანომ ვანის ბაზრობაზე გამატანა უშობელი,
ღმერთო, უკან არ გამიშვა პაწე ფულის უშონელი.
ჩემმა ბიჭმა მასახელა, ენაცვალოს მაგას მამა,
ხოდა ხარჯი გაგვეზდება - ბინის ქირა, ჩაცმა, ჭამა.
გეპეიში ჩააბარა, უნა გახთეს დიდი კაცი,
პაწა მეც ქე დევისვენებ, რაღა მიჭირს ბოშო აწი.
აყალოზე თოხის ბაყუნს შეაბერდა ჩემი ტერი.
ახლა შვილი მეყოლება ნასტავლი და იჯინერი.
ახალ სახში სამი თვალი ქე მაქ უკვე გამართული.
რძალიც მინა ანოსავით შეხედული, აშხვართული.
ვერა ქალი დოუდგება მაგის ქორულ გამოხედვას,
ხოდა ორი კაპეიკი ჯიბაშიაც უნა ედვას.
ვორი დღეა გული მღერის, გევიშალე კაცი მხრებში,
ვივლი ულაშდაწკეპილი მოყვრებში და მეზობლებში.
ჩემ ანოსაც ხშირათ ნახავთ ძველებურათ მცინარესა...
...
ქალო შენი თეთრი კაბა
წყალს მიქონდა, მდინარესაააა...



მეველე / ტილო, ზეთი / 100 x 200 სმ



შეყვარებული სპილო / ტილო, ზეთი / 100 x 90 სმ

მხიარული სპილო

ცირკში ახლად მოყვანილ
სპილოს ჰკითხავს მელია
- შენი ცხვირი ამქვეყნად
ყველა ცხვირზე გრძელია?
- გრძელი ცხვირი როდი მაქვს,
უპასუხა სპილუკამ,
- ეს პლასტმასის მილია,
მომაკერა ქირურგმა.
ინდოეთში მეტწილად
ჰავა ძალზე ცხელია,
ჰოდა, გრძელი ცხვირისგან
მეტი სარგებელია.
მოკლე ცხვირით სიცხეში
ზურგის მორწყვა ძნელია,
და რაც უფრო გრძელია,
უფრო სასურველია.
ზოგის ცხვირი შლანგია,
ზოგის - დიდი გველია,
ცხვირების დაგრძელების
წესიც ძველთაძველია.
ბოლოს, გაოცებული,
ეუბნება მელია
სპილოვ, რასაც გვიყვები,
წარმოუდგენელია!
ტყუილ-მართლის გარჩევა
უკვე ისე ძნელია,
ისიც ვეღარ გავიგე,
სპილო ხარ თუ მელია.

მეხრეობა

ზამთარს დაუწუნია შემოდგომის იერი
და ბარდანი ღრუბელის გაუშლია მარაო,
ერთ ღამეში მოხატა თეთრი თვალსაწიერი,
არე-მარე მოამინანქარაო.
გარგაზია ვნებანი, ხშირად უმიზეზონი,
რარიგ გახუნებულან, ეგეც ჟამის სიავე,
მახლას, ჩემი ცხოვრების მთელი სამი სეზონი
როგორ გავანიავე...
ახლა, როცა დამაკვდა თმაზე ვერცხლის ფანტელი,
და ცხოვრება მაგუებს უხალისო აკორდებს,
ოცნებებიც მტოვებენ, პეპლად მოფარფატენი,
აშურებენ სხვა კორდებს.

კაკტუსის გამყიდველი / ტილო, ზეთი / 80 x 60 სმ

თბილისური კარები / ტილო, ზეთი / 120 x 100 სმ

მამაძაღლი მურავიც მონოლოგი

დღეს სტუმრები გვეყოლება, ჩემი დათოს კლასელები,
დიდი შრომა მელოდება, უნდა დავხვთე ნასვენები.
ლუკმას უნდა მოპოვება გარჯაში და ოფლის ღვრაში,
მათი სახე დაგანახვათ, რო ავყობი სიმღერაში,
ამ ციგანმა დათოიემ შემიკერა წვანე პლაში,
დამეჯიბრონ არტისტები აგრაფინას გაბაძვაში,
ორი თათით რო გევიარ, ყელის კოხტათ მოღერებით,
იმათ ხარხალს ვიღა ჩივა, დამახჩობენ მოფერებთ,
ქათმის ხორციც ქე შემხვთება, პურის ყუაც, მურასაო,
თან მეტყვიენ - მურა-მურა, ცხვირი გაგემურა-საო.
გოგოები მომდგებიენ, დამიწყებენ ფერდზე ხიცინს,
ნეტა მალე მორჩენ, თვარა რა გოუძლებს კუდის ქიცინს,
სუ იოლათ მიმიხვთება ვინცხამ ჩვენი ნირი იცის,
ჩვენ ხომ ასე გამოვხატავთ ხან სიხარულს, ხანდა სიცილს,
ხოდა, ვითამ მიხარია, მეც ავყობი, მეტი რა ვქნა?
ნამეტურსაც ნუ დამძრახავთ, ვინმეს ღჯოლი ქე რო გავკრა.
ჭამა-სმა და ჩქარი ტაში, რა ვინატრო ამის მეტი,
გაჭივრებულ ქვეყანაში ვინ დაყეფოს ჩემი ბედი...

ზინგერი

- უიმე, ამბროსი!
ზინგერის მაშინა!
ქე რო მესიზმრება ამდენი ხანია...
კი, მარა, ამ დროში...
ფასმა შემაშინა...
კიბეზე მარტვას რამ ამოგატანია...
რაფერც გამახარე, ღმერთმა გაგახაროს,
სიმღერით ავყობი, რო აჩიხჩიხდება,
პირველად შევკერავ შენს ბორდო ახალუხს,
თითვანაც ვერ ხვდები, რაფრათ მოგიხდება.
აწი რამ მადარდოს, ცოტას ქეც გამართობს,
ჩემი გარდიროფიც მალე აივსება...
ლადოს გადაეცი წინიდან დამხატოს,
თვარა ჩემს ხაჭაპურს ვეღარ ეღირსება.

სიურპრიზი / ტილო, ზეთი / 100 x 60 სმ

შროშაზე / ტილო, ზეთი / 80 x 70 სმ

ცვალებადობა ოვირუში ფინდა დიო

დიდი ჯიპი დამუხრუჭდა
- მზია, ვაშლი ხო არ გინდა?
ვაშლი რა ღირს ქალბატონო? -
გამოსძახა მანქანიდან.
- არა, ბიჭს რო ბაჭია ყავს,
ნახე რაფერ ლამაზია,
ეგ მიყიდე, გეხვერწები! -
ეხუტება მამას მზია.
- რა ღირს ბიჭო ეგ კურდღელი?
- არა ვყიდი ამას ძია,
კარქათ უნდა მოვასუქო,
ჯერ ერთ იჯრად არ ვარგია.
- მამა, დაკლავს ეგ მუდრეგი -
აღვარღვალებს კურცხლებს მზია,
- მოდი ბიჭო, ათ ლარს მოგცემ!
- ათი ლარი რა ფასია,
ვოც ლარათ ქე შეველევი,
სხვა საქმეც მაქ მისახედი,
ახლა ჭინჭის საბურჭალო
ყურდღელი ღირს სამჯენ მეტი.
...
- რა ბაღნები წამევიდენ,
ვინცხა რაცხას იტყვის კიდე,
შენ მეხუთე ყურდღელს ყიდი,
მე ჯერ ვაშლი ვერ გავყიდე.
წამეშველე, ვერ გევიგე
მე ამ საქმის ინჩი-ბინჩი,
თუთხმეტ ლარათ თუ გაყიდი,
ჩემზე იყოს მაყარიჩი.
- წაი ცაცა, ვოც მინუჩი
თუ გავყიდე ეგ კალათი,
დამახვთერე ხაჭაპური
და სამზოლა მარმალადი.

ფიქრისგან

მე მიყვარს ფიქრი, ფიქრი მალია, სასურველ ხატებს წამიერ აგნებს, თითქო ციური ნაპერწკალია, გამოაბზინებს სულებს და საგნებს მეხსიერების ბნელი სკივრიდან, სად დავიწყების მტვერი ჰფენია ყველაფერს, რაიც ჟრჟოლად მივლიდა და თითქმის აღარ შემორჩენია აღარაფერი ძველი ხიბლიდან, ან ვეღარ ამჩნევს თვალი უხეში...

და უნუგეშო ფიქრი-იფრინდა ამაოდ დაძრწის სიჭაბუკეში...

თუმც, ამ ბერბეცში მაინც კიაფობს ორი უშრეტი სხივი, მაუზნი, და იმნაირად მაფორიაქებს, საკუთარ თავსაც რომ ვერ აუხსნი მიმქრალ ფოტოზე დედის თვალები რატომ მაგონებს ციმციმს ჩქერისას და დაბინდული მამის სათვალე რად მირჩევნია ლექსის წერისას.

მე მიყვარს ფიქრი...

დედის პორტრეტი / ტილო, ზეთი / 100 x 80 სმ

ზუსტი საათი / ტილო, ზეთი / 80 x 60 სმ

დრო

ფინქ ფლოიდის სიმღერა
კობა ჭუმბურიძის თარგმანი

წიკწიკებენ წამები, მიაქვთ დღე, სევდიანი,
დრო დაქუცმაცებულა, წვრილმანია მრავალი,
შენს მშობლიურ ქალაქში წრეზე გიწევს ტრიალი,
მოლოდინში, რომ ვინმემ მიგანიშნოს სავალი.

ირუჯები, ან კიდევ წვიმას გასცქერ ფანჯრიდან,
ჯერ კიდევ გიხარია, დრო თუ მალე გაფრინდა,
ერთ დღესაც კი მიხვდები - ათი წელი გასულა,
შენ კი ვერ გაიგონე ის სასტარტო გასროლა.

და მზეს გამოენთები, ის კი ზღვაში ვარდება
მიწას შემოუვლის და შენს უკან აღმოხდება,
მზე ისევ ისეთია, შენ - ერთი დღით ბერდები,
სუნთქვამოხშირებული სიკვდილს უახლოვდები.

წლები მოკლდებიან და, ალბათ, დრო არ გეყოფა,
გეგმაც უსუსურია, ნახევარი ფურცელი,
შვენის ნამდვილ ინგლისელს მშვიდი უიმედობა,
სიმღერა დასრულდა და ბევრი დარჩა უთქმელი.

ესეც სახლი,
დრო თუ არის, გული აქეთ მოიჩქარის.
რა სჯობს სახლში დაბრუნებას
ცეცხლზე ძვლების მიფიცხებას.
სადღაც შორს კი, გუგუნ-რეკით,
მრევლს მოუხმობს ზარი ძველი,
რომ ისმინონ მუხლმოდრეკით
ნაუბარი მომნუსხველი.

ვაგონი წავა და...

(სასიმღერო)
მიხაილ ლვოვსკი
კობა ჭუმბურიძის თარგმანი

ეს მატარებელი შორს მიემგზავრება.
ვაგონი წავა და ბაქანი დარჩება.
სადგურის საათი, აგურის კედელი,
თეთრი ხელმანდილი, თეთრი ხელმანდილი,
თეთრი ხელმანდილი, მზერა მიბნედილი.

კუპე გაბოლილი მისმენს სულწასული,
როგორი აწმყო მაქვს, როგორი წარსული,
დავპენტავ ტყუილებს, გაოცდნენ იქნება,
ვის დავემშვიდობე, ვის დავემშვიდობე,
ვის დავემშვიდობე, მათ ვინ ეკითხება.

გულს მიშლის მატროსი, პერანგზოლიანი,
თუ რარიგ მარტოა, რარიგ დარდიანი,
დასამშვიდობებლად არც გაისარჯება,
ვაგონი წავა და ვაგონი წავა და
ვაგონი წავა და ბაქანი დარჩება.

ვზივარ ფანჯარაზე ლოყამიბჯენილი,
საზამთროს ქერქი მაქვს ხელში შერჩენილი,
ჩემნაირ გოგუცას რა დაემართება?
ვაგონი წავა და ვაგონი წავა და
ვაგონი წავა და ბაქანი დარჩება.

ბაქანი ლელვიანა / ტილო, ზეთი / 35 x 40 სმ

საკმაზების ქალი / ტილო, ზეთი / 70 x 60 სმ



სუნელი და ყილო რაცხა

- ბოშო, რატო მაჩერდები, რამ დაგასხა ტარაბუა?
ნუთუ ჩემი სუნელების სურნელებამ გაგაბრუა?
სხვაგან ტყულა არ ეძებო, დღეს სუნელი მე მაქ მარტვა.
რატო დგახარ ჩუმათ, ბებო, რა გჭირდება, რა მოგართვა?
- რაფერ გითხრათ ქალბატონო, მაგის არა გამეგება,
რამე თითვან ამირჩიეთ, სულ ერთია, რაც იქნება.
- ბეჩა! ხო არ მეჩვენება? რაცხა უცხოს უნობ შენე,
მე კი არსა მეჩქარება, რა გინდოდა გეიხსენე.
- გეტყვით, ოღონ არ გამცინოთ, სუ სიკეთე იყოს თქვენდა,
იმნაირად შემომხედეთ, რომ უეცრად გამახსენდა
ღვანკითელი ჩემი ბებო, ბოგვერაძე ტერეზია,
ქალი იყო სანაქებო, იმისი დღე შეგვეწია.
ხოდა, ახლა მის სახელზე სუნელს გევიყოლებ რამეს.
ამ ამბავს რო მოუყობი, დედაჩემიც ისიამებს,
- არა შვილო, შენ საკმაზის არაფერი გაგეგება,
ოტკა გეიყოლე ბუზის, ეგი უფრო შეგერგება.

ძიერიცხვიერიფერი

- უი, კიღამ დამავიწყდა,
გეტყვი, თუ არ ჩაგეძინა,
კანტორაში რო ვიყავი,
კარპეს ცოლი ვნახე, ზინა.
აქნობამდე ვერ დალაგდა,
ტერი იყოს მაგის დღეში,
ერთი ფეხი როხში აქ და
ერთი კიდო - ვარციხეში.
- კიე, მისი კარპეც მახსოვს,
ტვინის კეკა რო უყვარდა,
ნაობახტში იჯდა ბოლოს,
სახელიც ქე გოუვარდა.
- ყველას ავდოკატი იყო,
თავის ოჯახს ვერ მიხედა,
რას გადარჩი, ხელის თხონა
შენ ქე რო ვერ გაგიბედა...
- სხვა რა მახსოვს, პაწა ხანი
დააბრუნა ის დრო ნეტა...
მისი და თუ გახსოვს შენე,
ენით წარბს რო ისტორებდა?
- კი, დაც ყავდა, „იმნაირი“,
არაფრისი არ ცხვენოდა,
ზესტაფონში ვინცხა კაცებს
სულ ფოდრუჩქით დაყვებოდა.
სხვაფრივ ვერ დეიწუნებდი,
ქალი იყო საარაკო...
- მახსოვს, მახსოვს, მის კაცებში
შენც ერიე, მაღვალაკო.
ბეჩა! რაფრა გეიკვირვე!
რას მიკუსავ ჩხაკა თვალებს!
ეჰ, რაც იყო, სიზმარია...
ჩამიხუტე,
მაკანკალებს...

მოხუცები / ტილო, ზეთი / 100 x 80 სმ

ჩამოსაფარებელი

- გაგიმარჯოს გურიკა, შენც სალამი, დაია,
საით გაგიწევიათ, ხო კაი ანბავია?
- გაგიმარჯოს ტასია, დასამალი რაია,
ქუთეიში მივდივართ, გვითხოვდება მაია.
- ბეჩა, რას მეუნები, რაცა ხანი გასულაააა...
ახლა რა ხნის იქნება? სკოლა ხო დაასრულა?
- სკოლის მერე ბუღალტრის კურსებზეც ქე ისწავლა,
- სწავლას ახლა ფასი აქვს, იმედია წინ წავა.
- ბიჭიც კაი გამოდგა, არ ეშლება კაცობა,
სმა არ ნაყვარება და არც პაპიროზს ნაწოვა.
თურმე ძრიელ აფასებს მთელი ავტოქარხანა,
ცენტრში დიდი ბინა აქ,
თითვან ცხოვრობს მარტვანა.
- მარ-ტვა-ნაააა?!

საქეიფო სამზადისი / ტილო, ზეთი / 100 x 90 სმ



ვთვლიდი თქმული

ასე ყვავილობს ალუბლის ტოტიც,
ვიდრე განძარცვავს მირკანის ქარი...
ჩამქრალ ოცნებებს ნეტავი როდის
წაიღებს სხვასთან წასული ქმარი.
ამ მარტოობას ვერასდროს გაბრის
წუწკი კაცების ლაქუცი, ქლესა,
შხაპქვეშ ღიღინი დამცხრალი
მამრის და შურიანი ქალების მრეზა.



კდემამოსილი / ტილო, ზეთი / 35 x 25 სმ

პედაგოგი / ტილო, ზეთი / 100 x 50 სმ

ფიქრები... ლაშქრები...

ამას რავა ვიფიქრებდი,
აქნამდი თუ მევიდოდი,
ჩემს დათუნას შევეცოდე,
ამ წიგნებს რო დავტიროდი.
გულს მიკეთებს, მეუბნება,
ენაცვალოს ობოლს ბებო,
- გავიზრდები და წიგნების
დიდ კარადას გაჩუქებო.
ბაზრობაზე საშა ვნახე,
ქე რო მეკურკურებოდა.
აროუშავს პირი-სახე,
ერთხანობა მეც მომწონდა,
მივალ, მივეთილმითები,
გასაყიდად რო დამიდოს,
ყოლიფერი ეყიდება,
იქნებ ესეც გამიყიდოს,
მერე ცაცას სამკაულებს
შეველევი თითო-თითოს,
შრალ ამიდებს ველოდები,
იქნებ გამოიამიდოს,
ახლა მალე ვითოშები.
მუშტარი რო მოხშირდება,
საცხა მეც ჩევეკვეხები,
თუმცა ძრიელ მერცხვინება.



ბებია რო გოგო იყო

დაცქრიალებს ქალი ანა,
თვალები აქვს ჩინჩხლით სამსე,
ჩითის კაბა, კოპლიანი,
გადაკიდა სელის სკამზე.

ხვალ საღამოს რა მოხდება,
ბურძგლავს იმის გაფიქრება,
ნაკვერცხლიან უთოს იქნევს
და ოცნებობს - რა იქნება

გოუშვებდეს ადრე მიშა,
ამხანაგი ჭიჭინაძე,
ბუჭუტიამ დაპაიჭა
ახალ ფილმზე - „ჭრიჭინაზე“.

ძველი უთო / ტილო, ზეთი / 50 x 60 სმ

გოგონა ბუშტით / ტილო, ზეთი / 60 x 40 სმ

დიდი წითელი ბუშტი

ლამაზი მყავდა ბაბუ, ძრიელ მოწონდათ ქალებს,
ერთი, მეზობლის ცაბუ, თლა უკლუკავდა თვალებს.
გუშინდელივით მახსოვს რო წამიყვანა პარკში,
დურცხი, სიცოცხლით სამსე და ცხვირკოსოპა ბავშვი
და მეტირება მუდამ, რო მახსენდება ის დრო,
კბილიწეპია ნუგა და ლიმონათი „სიტრო“.
წინა კიჭი რო მომძვრა და შევიქენი კუშტი,
მის მაგიორში მომცა დიდი, წითელი ბუშტი.
კარუსელაზეც დამსვა, წინ მიმიძღოდენ მგლები,
რო დაბზრიალდა ნავსად, თან გაიყოლა წლები,
დროება საოცნებო...
რა გაიხსენებს ამდენს...
აწი თითვან ვარ ბებო, კუდში ნაგრამი დამდევს.
წარსულში დარჩა ბაბუ და მოსაგონი, უშტი,
ყმაწვილქალობაც ფაფუუუ,
დიდი, წითელი ბუშტი...

ჰკუნია

დღეს ექიმმა მოგვახარა ფეხძიმობა ჩინებული,
ერთ კვირაში გასაჩენად ხარო მოჩაჩინებული.
მე ჯერ ბოვში მეგონა და რაფრათ დამქალებიაო,
შენ ნურაფრის გეშინია, აქანა ვარ ბებიაო.

ახლა უნდა გამევიბა ასი ყური, ასი თვალი,
კიდე რო არ მეეზუტოს ის პუწაწკი ნასიძვარი.
ფეხძიმეს რო მიატოვებ, რა კაცი ხარ, რა მაქნისი,
შერიგება ნანდომარა, სინსილა რო გასწყვა მისი.
ნეტა აღარ დამანახვა პაკუნიას ახლო-მახლო,
ვის რად უნდა ის მუჩუჩი, უპირო და ურიხრახო.
მეიკითხოს დედამისმა ვინ დოუდით ნონას დარი.

მადრიელი ვარ უფალო
შვილთაშვილს რო მომასტარი.

რძალ-დედამთილი / ტილო, ზეთი / 100 x 80 სმ

სექენდჰენდი / ტილო, ზეთი / 100 x 80 სმ

შიბლეტი

იეფი მაღაზიაა, იხარებს ამის მამგონი,
ყოლიფერს რავა გაწვდები კაი ხელფასის არმქონი.
რამხელა საღავათია, ამევისუნთქე პაწია,
გამილამაზდა ფაცია, სულ ნაირფერი აცვია,
დავყობი იარმუკაზე, სანამდი ჯიბა მიწვტება,
არც მე მაწყენდა შიბლეტი, აწი მალიმალ მიცვდება,
მესამე წყვილი მოვსპევი, რაც გამიფუჭდა მანქანა,
ნახმარი კაცის ტუფლებიც იქნება ქონდეთ აქანა.



ცრემლი, ფიქრი და...

როგორ გელოდი, მაგრამ არც ახლა
ეწერა თურმე იმედს ახდენა,
თუმცა ძნელია ჩემი წახდენა,
რადგან ლოდინით არ ვიცი დაღლა...
ეს შემოდგომაც უშენოდ წავა,
გზად ღრუბლის ფთილებს
წვიმებად დართავს
და ჩემთან ერთად დახვდება ზამთარს
ცრემლი, ფიქრი და ფინჯანი ყავა...

ყავაზე / ტილო, ზეთი / 80 x 60 სმ



თბილისი ევროპა / ტილო, ზეთი / 65 x 200 სმ

მატარებელი

ჯოყოეთში ჩამომდგარა,
შორაპანშიც ხალხი უცდის,
როის წაკოკიალდება,
ლადოს გარდა არც ვინ უწყის.
რუზრუზი და ფუსფუსია,
გავა ალბათ, საცა არი,
უკანასკნელ დარიგებას
მოთმინებით ისმენს ქმარი:
- მე ქიშმირის შალი მინდა
და სათვალე დიდი ზომის,
შევროს ჩექმა მიხაკოს და
ცაცას - ქოში ტარსიკონის.
- ნუ ბჟუტურობ, შევროს ჩექმას
ასე უცეფ ვინ იშონის?
- ხო, ზინგერის ნევსიც მინდა
და საკაბე კრევდიშონის.
ფოლაქებიც მეიკითხე,
კაბას რო აქ ბუჭუს ცოლის,
ინდისხურმაც წამეიღე,
იეფათ თუ აგიწონის.
დუგმები და გულაფკები
და თუ მოგჩა ცოტა ფული,
ლაკის შავი ტუფლი მინდა,
ლაკის შავი რედიკული,
სავლეს ყალიონი უნდა,
არ დავჩაგროთ მწეველები,
პატეფონს თუ ჩამეიტან,
ამათ ყველას შეველევი.
- მე ფერადი ფანქრები და
კიდო ბევ რი შაქარლამა,
დეიწერე, თუ არ გახსოვს!
- მახსოვს, გენაცვალოსთ მამა...
...
ამ დროს შაშა კონდუქტორმა,
კვაჭიჭა სხალს ქე რო ჭამდა,
მემანქანეს გადაკივლა
- წაი აწი! დაგვაღამდა!..



გახსოვს?

ბირბილა ბუხართან ბუტბუტებს ბებია, მოგონებებია მისი მეგზურები. ამჯერად ნეტავი რა გახსენებია, თავისთავს ღიმილით რომ ეზუზუნება:

... თუ გახსოვს, პირველად ქე რო გაგიცინა? მაგულის ქორწილში რო გამოგეცეკვა? შენ კოპლებიანი კაბა რო გეცვა და მას ლურჯი ხალათი რო შემოტკეცოდა.

კინოში თვალი რო ვეღარ მოგაცილა? გიყურა, ბოლოს კი სიმორცხვემ უმტყუნა, გაბედა, სახლამდეც ქე გამოგაცილა და – გამომყვებიო? – რო ჩეიბურტყუნა...

ხუთი თვე... მერე კი, ხრიწინა რადიომ გვაუწყა ომი და ბელადის მიმართვა...

– წევედი აწი და ბოვშს მიმიხედეო... – მუცელზე გაკოცა და გადეიკარქა.

ბიჭი გვყავს, რა ბიჭი, ანახვა ნეტავი, რაფერ დეიმგვანა, თხელი, ასხლეტილი, მასავით ფერვანი და შესახედავი, მასავით კვიმატი, ფიცხი და კეთილი.

ჩამოვა საცაა, ქალაქში წამიყვანს, კაკოლის ვუტოვებ ბურვაკს და საქონელს, რას ვიზამ, არადა ქალაქი არ მიყვარს, აქ სუყოლიფერი ლეუშას მაგონებს.

ბეჩა, წელს ძალიან ადრე ჩამოთოვა, თლა სუდარასავით წამოუხურია. აქნამდე კაი ხანს ვერავინ ამოვა, ახლა ხმის გამცემი მარტვა ბუხარია და ზედ გაწოლილი კუსკუსა ჭინკები, სიკვდილის ხმაზე რომ რაღაც უხარიათ...

რა საწუხარია...

ბებო ზინგერით / ტილო, ზეთი / 80 x 60 სმ



ორთქლმავალი / ტილო, ზეთი / 60 x 80 სმ



ლოკომოტივიენ

მატარებლით მიჰქრიან და
გაგა ამბობს - გახსოვს გუგა...
ბორბლები კი არ აცდიან
- გაგა-გუგა! გაგა-გუგა!

- ძაღლი რომ გამოგვიდგა და
გული აგვიბაგაბუგა?
ბორბლები კი ხმაურობენ
- ბაგა-ბუგა! ბაგა-ბუგა!

- გახსოვს ბაბუმ მდინარე რომ
საბანაოდ დაგვიგუბა?
ბორბლები კი კვერს უკრავენ
- დაგვი-გუბა! დაგვი-გუბა!

შვილიშვილებს მოელიან
რეზო ბაბუ, ნატო ბებო,
ბორბლები კი იჩქარიან
- ბაბუ-ბებო, ბაბუ-ბებო.

ოთოფიცწინა პიანო

ღლიცინობენ დამკვრელები,
დარჩენილი უცოლშვილოდ:
- სხვის ქორწილში რო
ვყურყუტობთ,
ჩვენ როისღა ვიქორწინოთ.
ამნაირი პატარძალი
თითო ცალი ჩვენც ხო გვინდა?
- ნეტა ნეფე რა ხნის არი,
ი ქოჩორი რო გაცვინდა.
- მეც ეგ მადგა ენის წვერზე,
ერთი წამით დამასტარი.
დედაჩემი მაგრათ მოტყდა,
დედაშენი რაფრათ არი?
- ეჰ, სიბერეს რა უთხარი,
რო ვუყურებ, მეტირება,
მისუმისოდ მარტვა ვრჩები,
მართლა ყოფა მეტირება.
მამაშენი?
- ჯერ ყვეჩაღობს,
ვენახშიც ქე მეშველება,
მას რო რამე მოუვიდოს,
ან მე რაღა მეშველება.
- ეს რა საქმე დევიჩემეთ,
სუ სუფრაზე ჟდომა გვიწევს.
გეიხედე, თვალი გიჭრის,
მგონი ცეკვა უნდა სიძეს.
- ჰე, ჩაბერე,
- შენ გაწელე!
- შენებურად მოსცხე ზაურ!
დაფ-ტაუ-ტამ!
დრუფ-ტაუ-ტამ!
დიმფიტაურ! დამფიტაურ!

მშობლიური რვა ნომერი / ტილო, ზეთი / 90 x 100 სმ

ფქვილის ბაზარი / ტილო, ზეთი / 80 x 60 სმ

ჯადის ქეიფი, იულიას გამცყიცული

ფარცხანაყანების ქფილი,
შაქარივით არის ტკბილი,
ბაგრატიას წყლის წისქვილზე
დაფქული და დაღერღილი.

ჭადი კეცზე თუ დაბრაწე,
მისი მჯობი დამანახვე,
გინდ ტყემალში ამოგნაწე.
გინდ ბაჟეში უტლიაღვე.

ეზოყურე გვენატრება.
აღდომამდე არ გვაწვალოთ,
ხელი მალე დაგვიცალეთ,
იულია გენაცვალოთ.



ბეღურების ნადირი

- კესარია, ამიხსენი, რას ჩამოდის ცრემლი ცხარი?
რა უთხარი ამისთანა, რო ადინე ცხვირში ძმარი.
- აქანა რო დაფოთარობს, დეილია ეზო-კარი?
ნაშოვარი მაინც გაყოს, თუა ჩვენი მეგობარი.
- მეც ძალიან მეზარება ამნაირი ფოქუზები,
თვარა კი არ მენანება ნამცეცები და ბუზები.
შეხე, რაფრა იბღუზება, ჩვენ გვამგუნებს აქით კიდო,
- მაცა, რაცხას მოგიყობი, ძაან უნდა გახითხითო.
ასე მიუპაიჯებლათ მიცუცქულა მართას კართან,
გამეენთო თურმე მართა, კინკრიხოში უნისკარტა.
ჯერ შენიშვნა ვაყოფინე, ისე, მგონი კია ახი,
ჩუმად წამეეპარო და დოუკეკო კოკორახი.
მე ნევრები დამაღლიტა, თითვან ზუის საცოდავათ.
წახთა ხალხი, მარგალიტა, გათახსირდა ნამეტნავად.
- ისე, გული ქე დამეწვა, ვინ იგუებს ახლო-მახლოთ.
- მიდი, დეელაპარიკე, ზაფხულამდე ჩევისახლოთ...

„შპილკა“ / ტილო, ზეთი / 40 x 70 სმ

საკერავი მანქანა / ტილო, ზეთი / 50 x 70 სმ

„ზინგერ", ანუ მომოქრავლია

- მამიდუკას ვენაცვალე,
სარაფანი მინდა წვანე,
აგერ, ნახე, ღილები და
მატერია მოგიტანე.
- სარაფანი გირჩევნია?
სტორს ქე უნობ, ძაან დაცხა,
მეიცადე, სამაგისო
თარგიც უნდა მქონდეს საცხა.
ზორტით გინდა თუ კოკეტკა?
ორივეც ქე მოგიხთება,
- წელზე კოხტათ რო
მომადგეს,
ვიტიჩქები დაჭირდება.
პეტლი თეთრი გოუკეთე,
ფოლაქების შესაფერად.
პლისეს ზბორი მირჩევნია,
იოლია მოსავლელათ.
- მატერიას სინათლეზე
გამახედე, ხო არ ლანდავს,
პაწა ხანი ჩამოჯექი,
მოგაზომავ დანალამბავს.
გვირისტიც და აველუკიც
საღამომდე მზათ იქნება,
მაგ შენ წვანე ბასანოჭკებს
ნამეტანი დაშვენდება.
ტისომკები კრუჟაოთი,
ეგეც შენი სარაფანი,
გეივლი და გადმოყვლიჩავს
თვალებს მთელი შორაპანი.
დუნიაზე არსით დადის
ჩვენნაირი გოგონები.
აწი წაი, თმას მიხედე,
დეიკრუწნე ლოკონები.
ოღონ ფულის შემოძლევის
არ გაბედო გაფიქრება,
მაქოს კოჭა მაპოვნიე,
ლამპა რო დგას, მაქ იქნება.
ჰე, ზინგერო, მოგიმღერო
ჩვენებური ჰანგი ძველი?
- ჩიხ-ჩიხ-ჩიხ-ჩიხ
ჩიხ-ჩიხ-ჩიხ-ჩიხ!
- შორი გზიდან სატრფოს
ველი...



ვილა ყითხულობს წიგნებს

- გერვასი, ბოშებს ხედავ!
- აბა მაჩვინე, სანა?
- ეგერ გადაღმა სერზე
ფორანი ქე რო დგანა.
არც გიტარის ხმა გესმის?
არც ი ქალი რო კივა?
შეხე! ვინცაღა მურთხმა
კაკოს მოპარა თივა!
- გადეირიე ბოშო?!
ბოშებს უძახი მაგნებს?!
თუმცა, ახლანდელ დროში
სტორ სიტყვას ვიღა აგნებს.
ცოდნა შენცხვირწინ დვია,
თუ გადაფურცლავ წიგნებს...
ბოში პატარას ქვია,
დიდებს ვუძახით - ციგნებს!..
ბჯოს!

ბოშები / ტილო, ზეთი / 100 x 80 სმ



ბარახოლკა / ტილო, ზეთი / 70 x 200 სმ

ძველი ხილი

ბაზრობაზე თუ ჩაივლი, შეგეძენინება რამე,
ან კიტელი, ან სათბურა, ან ნამგალი, ან მაკრამე,
ფანდური და ზანდუკი და რადიოლა „მურომეცი“,
ზინგერს, თექას და საინებს შერჩენიათ ძველი პეწი,
გიტარა და ვიოლინო, დაირა და ჰელიკონი,
ბოთლი, კეცი, ყავარჯენი, პატეფონი, გრამოფონი,
სარკე, ცანდი და მათარა, პრიმუსი და ირმის რქები,
საათები, ჩარჩოები, ხანჯლები და დამბაჩები,
ყანწები და სელის სკამი, სასწორი და კაჟის თოფი,
ხმალი, ნალი, ბირდაპირი, არყის ქვაბი, ღვინის შტოფი,
ლამპები და მოკალული თუნგები და ხელადები,
ყაითნები, ჩაიდნები, დახატული ბელადები.
შენ დაუკა, არღანჩიკო, ძველებური გაახურე!
- არ შაგცივდეს ბაარაშკა-ჯან,
ზამთრის შაპკა დააიხურეეე...

ზღიროთხ

- ამ რქით, ჩემო სევარიონ,
ვადღინძელოთ ჩვენი პერი,
ამ კუთხეში ვერსა ნახო
ძაღლი, მისი შესაფერი.
რა ნაბული, რა იერი,
რა ალღო და მოხერხება,
რაც მე ენად გევიკრიფე,
ერთი ლეკვი ხო მერგება?
- მას რო კითხო, იმ უჯიშოს
დეისვამდა დღესვე ცოლად,
კაი გოგო უშონე და
მონაგარი გავყოთ ტოლად.
ჯეკაც ჩემი გაზდილია,
მარა პერის ვერ ედრება.
- ხუთ თუმანში დამითმეო -
მერაბიჩი მევედრება.
- რაც სტორია, იმას ვუნობ,
თუმც ჯეკასიც მეხათრება,
ჯეკა, ხო არ დამენდურე?
- არა! რავა გეკადრება!..

პერისა და ჯეკას სადღეგრძელო / ტილო, ზეთი / 100 x 90 სმ

აღდგომა / ტილო, ზეთი / 90 x 50 სმ

ვოლგოგრად იმერეთში

- ქრისტე აღდგა ერმონია!
- ჭეშმარიტად, ჩემო ლიზა!
- კიდო ხო არ მებუტები შენი შუქრის გულობიზა?
- კაი აწი, ლიზავეტა, ეგ ამბები რა დროსია,
აღარც ჩემი შუქრია და აღარც შენი ამბროსია.
- აფსუს, ჩვენი სიყმაწვილე, რა უეცრად ჩამოვბერდით,
კანტორამდე გადარბენას ათ მინუტს არ ვანდომებდით.
- ახლა ძახლის სანახავათ მივღინღილოფ საცოდავათ,
პასკა მაინ მოუკითხო, დაუძლურდა ნამეტნავათ.
ამ ბოვშებსაც ვერ ვამტყუნებ, გადაკარქულს ქვეყნის
კიდეს,
აქით რაფრა ჩამევიდონ, ჯერ ფეხი ვერ მეიკიდეს.
- კიდე კაი, აქოური ქალი მაინ მეიყვანა...
- ტელეფონით ქე რეკავენ, თან შით ყოლიფერი ჩანა.
შვილიშვილი დამანახვეს, შუქრის დამგვანებიაო.
ღმერთო, ისე ნუ წამიყვან, არ გეიცნოს ბებიაო.
- ქუთეიში დასარეკათ ჩხარში ქე რო გადავრბოდით,
მაშვინ რას წარმევიდგენდი, ამას თუ მევესწრებოდით.
- ეგ თქვი შენე, უცნაურ და უბედურ დროს დევიბადეთ,
კოლექტივის გადამკიდე წელში ვეღარ გევიმართეთ.
- სუ უკუღმა გვარონიეს, ყველს გვითვლიდნენ თითო
წველას...
კიდო ლენინს მიტირიენ, ძაღმა აფსა იმ თხაწვერას.
- ხოდა ახლა შვილებს უწევთ ლუკმის შონა ქვეყნის გაღმა.
- აროუშავს, ჩვენი ბედიც მობრუნდება მალე წაღმა.
- კიე, რაცხას ალბათ ჩვენც ქე მევესწრებით, მე მგონია.
- ქრისტე აღდგა ჩემო ლიზა,
- ჭეშმარიტათ, ერმონია.

ლადოს ჭრელი სიზმრები

- ბოშო, შენ რომელი ხარ?
რაცხატომ ვერ გიცანი,
თლა აქოურს არ გავხარ...
- ციცარი ვარ, ციცარი.
უი, კი გამეგონე,
თუმც არ მყავდი ნახული.
შავ-შავი რო მეგონე,
შენ ჭრელათ ხარ ჩაცმული.
- ეჰ, მე ვინ მეკითხება,
დაგვიბრიყვეს ციცრები,
ისე, მგონი მიხთება
ლადოს ჭრელი სიზმრები.

ციცარი / ტილო, ზეთი / 50 x 45 სმ



ბოშა / ტილო, ზეთი / 80 x 75 სმ

ციგნის ქალი ყოლიანი

მახსოვს, როცა მეხუთეში გადევედით მე და ნანა,
სუ ხუთები გამოგვყვა და მამამ ცირკში წაგვიყვანა.
სანამ შიგნი შევიდოდით, მოდგა სამი ციგნის ქალი,
უცხო საბურჭალოებით აგვიჭრელეს ბოვშებს თვალი,
მამას ჩვენი თვალისჭყეტა ქე დოუჯდა კაი ფასი,
ვაყიდიეთ საპიპინო, სატკაცუნო და მომპასი,
კიდო ჟატის ქახალდისგან შენაწეპი გარმოშკები,
ესკიმო და სტაქანჩიკი, ნუგა, ბამბის მაროჟნები,
ერთი მუჭი პედრო კევი, ბატიბუტი - ვორჯენ მეტი,
ლიმონათი კრუშონი და ხაჭაპური ოთკუთხედი,
ფერადი წყლით ამსებული შუშის მილი, დაგრეხილი,
გძელი თეთრი კაფენტები, წითლათ როა დაზოლილი,
ვაყიდიეთ ჭრელი ბურთი, გამომბული რიზინაზე,
კიდო ისი, თებზები რო ძიგძიგობენ წვრილ სინაზე.
ერთ ქალს წვანე ჩიტი ყავდა, იმითი მარჩიელობდა,
მიმკითხავა ჩემი ცოლი რანეირი იქნებოდა.
ჩიტი რაფრა ირჯებოდა, რო ვიხსენეფ, ახლაც მიკვირს,
თან ბორია ერქვა, რავარც მასტავლებელს ბოტანიკის.
...
ტექნიკუმში რო ვსტავლობდი, იქ ვიპოვე ჩემი მზია,
ბორიამ რო მიმკითხავა, იმნაირი ლამაზია.
მართლა ქერა თმები აქ და თაფლისფერი თვალებიო,
ჭკვიერია, შნოიერი, მაგას ვეხვანხვალებიო.
ამკვირია ჯვარსაც ვიფსკვნით, ავაფუვლებთ ჩვენ კერასო,
ბოშიებსაც შემევისევთ, ბუთქუჩას და გენძერასო.
ყველა შემოგვჩერებია, იძახიენ - ფერი ფერსო...
...
ციგნის ქალო, კუდიანო, რაფრა მიხვთი ყოლიფერსო.

გარბის დრო...

- ყავ-ყავ-ყავ-ყავ! ყურ-ყურ!
- ჰამ-ჰამ!
აწი ნახე რასაც გიზავ,
გამასტარი აქიდანი,
თვარა ბარკალს აგადღლიზავ!
- გიგიმარჯოს სახლიკაცო,
შინოურსაც მასთე ხვთები?
სუ გაძაღლდი მურიკელა?
მეიძულე ძმა-ბიჭები?
- კაი გამარჯობა შენი!
რომელი ხარ, სიდოური?
- რა გჭირს ბოშო, ვერ მიცანი?
ფხორიკო ვარ, ინდოური!
- ინდოურებს ქე ვცნობ, მარა,
შენ ვინ ხარ და სიდან მოდი?
- მე ვარ ბუჯო! ჭუკობაში
სკლინტას ქე რო მიძახოდი?
- უი! სკლინტა, ნუ დამძრახავ,
რო გიყეფე წეხან ავათ,
რას გიცნობდი, ამ სამ თვეში
გამოცვლილხარ ნამეტნავათ.
- უჰ, გასულა რაცახანი,
რაფრა გარბის ეს ოხერი...
- აპა! კიღამ არ დაგბდღვენი
მოყვარე და მეზობელი...
...
დრო თავისას ერეკება,
მიჭენაობს, რაფრაც რაში.
გაგიშპება ეს ცხოვრება
სამჯერ დაყავყავებაში...

ინდაური / ტილო, ზეთი / 100 x 80 სმ



გვირილა და ყვავილონი

ეჰე! მოხთა მოსახთენი...
ქე რო წიფდა კარქახანი,
ვისთვინ - გულის მოსალხენი,
ვისთვინ - ენის დასაფხანი.
აწი? აწი რაღა გინდა?
პაწა ხანი ვეღარც ხვთები,
რომ ვარვალა მეცხრე ციდან
ცივ მიწაზე ენარცხები...
ეგერ გორავს წენწი კაცი
ჯერ არ ისმის მისგან წკლუმი,
ქალს შეყურებს, კედაროზე
მიაყინა მზერა უმი.
აპლაკუნებს ყალიონს და...
ყვავილს ფურცქნის ქალი კოხტა...
...
ეჰ, გვირილა რას გიშველის,
მოსახთენი თუკი მოხთა...

უყვარს თუ არ უყვარს / ტილო, ზეთი / 70 x 80 სმ

ოზდაშვილი

- შეხე! ისე ჩამიარა,
გამარჯობაც არ უთქვია...
არაუშავს, ნამეტნავად
გული არც მე დამთუთქვია.
იქნებ, განში რო გევედი,
ამის გამო დამიწუნა...
მე თუ ძრიელ მევიმატე,
თითვანაც ქე გაქუცულა.
მაცა პაწა, ჩამომაკდეს
ერთი ოზდაშვიდი კილო...
ნიკურიხის ქალი მოკვტეს,
შენ თუ ჩემზე გაქირქილო,
უი, თითქოს გეიგონა,
ვინცახასგან რო გამგუნდა,
მაშინათვე გამიხსენა,
შეჩერდა და შემობრუნდა,
...
- კესარია, ბოშო, შენ ხარ?
კიღამ თვალმა შემარცხვინა,
რაფრა ჩაფუნთრუშებულხარ
ჩემი გულის კვარახჭინა!..

შინაბერა ძაღლით / ტილო, ზეთი / 100 x 80 სმ

სალოცავთან / ტილო, ზეთი / 100 x 60 სმ

სმნეზია

ღმერთო ჩემო, დიდებულო,
შენი ნებით რა არ ხთება,
თურმე, გულით თუ ლოცულობ,
ყველა ნატვრა აგიხთება.
ხოდა, სერიალი გახსოვს,
ხუანს როზა რო უყვარდა?
თავში რაცხა ქე რო ჩაცხეს,
ამნეზია დეემართა.
იმის მერე კაი ხანი
გაქსუვდა და გაუცხოვდა,
არ ახსოვდა მისიანი,
არც სახკარი არ ახსოვდა.
იმ დღეს უცფათ ფიქრმა გამკრა,
კიღამ ამომაგჯა გული,
ჩემი ალექსანდრე როა
უგზოუკვლოდ დაკარქული,
იქნებ კანტუზიის მერე
ამნეზია დეემართა,
გერმანელი ქალი ნახა
და ახლა ის შოუყვარდა.
ბევრი საქმე ქე გაქ, მარა,
მისაშველე, თავს გაფიცებ,
შუქრუთი რო გაახსენდეს
და მათიკო ჩაჩანიძე...



ჩვეულებრივი ოიჯრები

დედა, ბიჭო, რას გადავრჩი,
შევატყვე, რო ვეღარ უჭერ,
კიღამ შევრცხვი და შარვალში
ლამზირას წინ ჩევიფუჭე.
ქაღალდიც ვერ ჩევიკუჭე,
ისე გამაფაღარათა,
დეილოცოს, ამ ახლოში
ფეხსალაგი ვინც გამართა.
უჰ, რა სუფრა გამიცდება,
იმნაირი, მე რო მიყვარს,
ნეტა რა მექორწილება,
ახლა ჩხარში რა ჩამიყვანს,
ეს რა სნაკვი დამეტაკა,
რა ქეიფი ჩამაშხამა,
შენ გაგისკდა კვეჟო ფაშვი,
ის პერაშკი რამ გაჭამა...

ოცნება / ტილო, ზეთი / 100 x 50 სმ

შეყვარებული სპილო / ტილო, ზეთი / 100 x 90 სმ

ციყვარიყოს ვხვნვ ზოოლოგიურ პვრიყში

დღეს მინდა გითხრა,
რაც ჯერ არ მითქვამს,
თეთრო და ნაზო ამ გვირილაზე,
შენ არავინ გგავს,
სულ თვალწინ მიდგას
შენი ფერი და შენი სინაზე,
დაგინახე და გამომიდარდა,
ქალავ, შობილო ჩემი ნეკნიდან.
მე ხომ ჯერ კიდევ მაშინ მიყვარდი,
ვიდრე გამრიგე მდედრებს შექმნიდა,
განგებამ ჩვენი შერწყმა ინება
და მეც, იცოდე, არ მოგეშვები,
ხოლო თუ ვინმე შემეცილება,
შეუხიცინებს ჩემი ეშვები.
გაზაფხულისპირს დავქორწინდებით
და ვერა ძალა ხელს ვერ შეგვიშლის,
ჩვენ დავწყვილდებით!
ჰო, დავწყვილდებით
სპილოთა მოდგმის
გადარჩენისთვის!..



ხით-ხით-ყარ-ყარ!

- დღეს ხო იცი რა გევიგე, ცუცამ მეიტანა ჭორი,
ოღონ არსა არ წამოქცთეს, იქნებ არც ქე არი სტორი...
მაგულისთან შეპარული დოუნახავს ლოლას კუწა.
ახლობლობენ ვითამ, მარა, ლოლამ პირი არ დამუწა.
უკაცო და შურიანი ქალის ენა რას არ იტყვის...
ჰი-ჰი-ჰი-ჰი!
- კის-კის-კის-კის!
- აღარავინ მეირიდეს, ატეხესო დრაგა-დრუგი.
კვნესა რატო ისმოდაო, შეუკვეთა სვიტრი თუკი?
- კის-კის-კის-კის!
- ფხუკი-ფხუკი!
- ახი კია მაგულიზე, მასაც ქე აქ ენა გლახა.
მისი კვნესა მაშინ ნახე, კუწას ცოლმა თუ გალახა...
კის-კის-კის-კის!
- ვა-ხა-ხა-ხა!

ჩურჩული / ტილო, ზეთი / 100 x 60 სმ

მონადირე / ტილო, ზეთი / 100 x 50 სმ

მიჭიროს და მურიკიროს

- ესეც ასთე, ყოჩაღ მე და
ყოჩაღ, ჩემო მურიკელა,
აწი დროა რო დევიძრათ
ქალაქისკენ ნელა-ნელა,
რა ჯობია ნადირობას,
შემოგნატრის კაცი ყველა,
ჩემ ასაკში რამდენს შერჩა
სიმალხაზე ამსიხელა.
მადაც კაი, ქე შევსმუსნე
ყველი, ნახევარი წველა,
კაი „იჟიც“ მინდა აწი,
„ტოზი“ ჟანგმა დამიძველა.
ჟანგმა „ტოზი“,
„ტოზმა“ წყერი,
წყერმა ქერი,
ქერმა სერი...
შინისაკენ ჰერი-ჰერი,
შენც მითხარი მისამღერი.
ნანადირევს არუშავს,
რაცხა შენც ქე გადმოგჩება...
- ხორცი შენ არ გეიმეტო,
ისემც ცხვირი გიცხონდება.

გამგზავრება / ტილო, ზეთი / 80 x 60 სმ

პროპერციო ცვეიძე

საშიშოა ამ ქალაქში
უპატრონოდ გოგოს გავლა,
სასტავლებლად გამოვუშვი,
ქე უყურებთ რაც ისტავლა.
ქორწილამდე პაჩი-პუჩი
იმიტო არ შეიძლება,
თვარა, კაცი თუ ატროკდა,
წინ რა ძალა დოუდგება.
მუცელი რო ვერ დამალა,
მაშვინ გოუმხილა დედას.
ბიჭი ჯარში წეიყვანეს,
ორი წელი ვერ მოხედავს.
რა გოუძლებს იქნობამდე
აგრაფინას ენის სარსალს,
ეს რა შარში გევეხვიე,
ჭირი ეცა ჩემ დამთარსავს...

„წვიმა ცვლიდა ფერებში,
ლოცავ ჩემთან ცოფლიანებ"

ეს ბარათი, პაწაწინა,
კარზე გამოკიდებული,
უდიდესი მისტერიის
ნიმუშია დიდებული.
იმის, რასაც ვერ გამოთქვამს
ოქროპირთა მთელი დასი,
არაფერი კაცის მოდგმას
რომ არა აქვს მისი ფასი.
გრძნობის, რაიც არ ხუნდება,
სინათლეა, თუ ღმერთია,
უყურებ და გული თბება
და, ვინ არის, სულ ერთია,
ქალია თუ ქედანია,
ნაგაზი თუ მურა დათვი,
ყველას, ვისაც დედა ჰქვია,
ეფერება ეს ბარათი.

მოლოდინი / ტილო, ზეთი / 100 x 50 სმ

ფარშევანგი / ტილო, ზეთი / 110 x 100 სმ



იმერეთი

არ გეგონოთ ფარშავანგი,
მე გახლავართ იმერეთი,
ვერ მერევა ეშმა, ცლანგი,
მეფერება ვინემ ღმერთი,
სავანე ვარ სულთა შვების
და შვილების, გასაბაძის,
ჩემ დახატვას რას უშველის
ფუნჯი გინდაც კაკაბაძის.
თუმც სადღაა ძველი ხვითო,
კვასკვასა და ლამაზუკა,
გაჭივრებამ არ დამინდო,
გამცარცვა და გამამუქა.
თავს ვინ მანაცვალებს აწი,
შეფერთხილს და განაწვალებს...
ამ დროს ვხედავ ვინცხა კაცი
დასახატად მითვალთვალებს.
ხოდა, გევიფხორე, მარა
რო არ დავრჩი საკმარისი,
ცოტას ლადო წამეხმარა,
ცოტას - კობა, ძმაი მისი.

„იცი ამბავი გავლოიჯცი
მე მათი ცხოვრიბლოვლი"

წარმავალია ყოველი
და როცა კაცი რწმუნდება,
რომ ქალის ჟინი, ცხოველი,
არასდროს დაუბრუნდება,
შეფუცხუნდება საბრალო,
პაწახან აწუწუნდება,
მერე კი გაბუსუნდება
და იქით გადაბრუნდება.
ქალს კი ტირილი უნდება,
რამეთუ ყოფა ხუნდება,
მათ შორის რაცხა იმფერი
თუ აღარ გაჩუჩუნდება.
კურცხალმაც გაიკიაფა,
დარმა დაისის ნამისა,
„გასრულდა მათი ამბავი,
ვითა სიზმარი ღამისა."

დაბრკოლდა / ტილო, ზეთი / 80 x 90 სმ



ნატურმორტი / ტილო, ზეთი / 80 x 200 სმ

სიხმარი

იმერული შემოდგომა,
ნისლიანი დღეები,
თელი ეზოს გაყოლება
ბრაწოულის სტეები.
საკიდარზე გვადრაკი და
მაგიდაზე ჭადრაკი.
ჭურითავზე ორშიმოდან
დოქში ღვინის რაკრაკი.
ნამზით სუფრას შერჩენილი
საფერავის ლაქები,
ნიგვზისფოთოლშეტყეპილი
იულიას ჭადები.
მოჩურჩულე გოგონები,
ძნელად მისაყურები,
შებრაწული კუპატები,
ცუცას ხაჭაპურები.
თლილი ჭიქა რო შეიმსო,
სულმაც გამოიდარა,
ახლა ერთი რიმ-დარირა,
მეტი ან რა გინდა რა...
რა და
ამირინდოს კრახუნა და
მინადორას გიტარა.
აბა ერთიც!
ამირინდოს კრახუნა და�ა
მინა-დო-რას
გიიიტაااარااა...



მაცა შენი

წამიყვანე, ბესარიონ, გელოდები რახანია.
შენ გარეშე ეს ცხოვრება უსიამო ყაყანია.
სული ტკპილი ყოფილაო - ტყულა მონაჩმახარია,
ბეღლის თაგვათ არსებობა განა რა გასახარია,
დაგიზარდე ბოშიები, ყველა კაი ნასტავლია,
ყველას მისი ოჯახი აქ, აღარავის არ ცალია.
რას მიყრუებ?
მად შენ ანკესს ვინცხა ხო არ წამეეგო?
დევიღალე ბესარიონ, წამიყვანე შე მუდრეგო,
თუ არა და ალიოსთან გადავალ და დავლევ პინოს,
ისიც კენტად დაგვირჩა და იქნება ქეც შემაცთინოს.

ფაცია / ტილო, ზეთი / 50 x 30 სმ

შობა / ტილო, ზეთი / 80 x 75 სმ

ვეფოხოები იგვიანებს

ბებო-ბაბუს ქალიშვილთან
საშობაო მიაქვთ ძღვენი:
ინდოური, ჩიჩილაკი,
ბაჩონკაში პინოს წვენი.
ტკპილიკვერი ცხრანაირი,
შინდის კერკი, თხილი, ნუში,
გოზინაყი, ლეღვის ჩირი
და კრახუნას ფელამუში.
კუმელი და ბრაწოული,
მურაბები ბლის და მაყვლის,
წაბლი, ხუმლა ცუანა და
ჩურჩხელები კვახის კაკლის.
- ყოჩაღია ჩვენი გოგო.
- სიძეც კაი კვიდომია.
- დაგვასიეს ბაჭაჭყები,
ქე რო ხშირათ გვინდომია.
- აწი ყველას რას გასტობი,
მოსაკითხი იმდონია,
- რა შილიფათ ჩაგიცვია,
არ გაცივდე სიდონია...

თვალყირის ცონიერი ბრძოლოს

შენს ტოტებზე მოწეული
ჯადოსნური ძოწეული
ვის არი რო არ ეამოს,

ვარდობისთვეს აფეთქდები,
და ეგ შენი გაცეცხლება
დაშვენდება კარმიდამოს.

მე კი, თმაშენავერცხლები,
სულ ვიქნები თანამდები,
რომ შეგიმკო ნაკვერცხლები,
ლალ-ბადახშებს ქე რო გვანა,

ჩემი სიყმაწვილის წლები
ხელთავიდან რო შევიგრძნო
და რამეფრად ამევიცნო
სიყვარულის გამოცანა...

ბროწეულის ყვავილობა / ტილო, ზეთი / 100 x 80 სმ



ბორია გადაეტ / ტილო, ზეთი / 100 x 50 სმ

ჩემი ქმარი

ვალერია იანიშევა (რუსულ-ბოშური დიალექტი)
თარგმანი კობა ჭუმბურიძის

ვიცი, ქმარი დაწაწალებს ქალებში,
ერთმანეთზე წუნკალ ბოზანკალებში!
მე შვილები არ უნდა მოვაშივნო.
და ნიადაგ ვფიქრობ - სად რა ვიშოვნო.
საღამოთი, სახლში რომ მოვმსერდები,
დაღლილობით ფეხზე ვეღარ ვჩერდები.
ვნატრობ - ნეტა არ შემომიჩნდებოდეს,
სადმე რუსის ქალთან დაიცლებოდეს!
ის კი ამბობს - „ვიცი რომ მიმიხვდები,
კარტოფილის ჭამით ხომ გავგიჟდები,
კაცს სჭირდება თევზი, ხაჭო და სუპი.
სულ ეს არის შენი დარდის პასუხი...“
კარგი, რუსთან, ამას კიდევ გავიგებ,
მაგრამ ბოშას უმალ ფეხქვეშ გავიგდებ!
ის ქმარია, მისგანა მყავს შვილები!
გამოვფატრავ, ვინც კი შემეცილება!
მე იმ ძუკნას დალალებში წავწვდები
და გავხოტრავ, თუ სადმე წავაწყდები!

შეხვედრა ნახმარიებში

- დედა, რამდონი ვიარე, გადამერევა ვახტანგი,
უიმე! დიდი ბოდიში, რაღა აქ შემოვტანტალდი...
ჯემალი მასტავლებელო, აქ რო ხართ, კი არ ვიცოდი,
არ მოგელოდით ნამდვილად, თვარა არ შემევიდოდი,
- შენ ნატალია ხო არ ხარ? კაპეტივაძის, საშასი?
ბებიას დამგვანებიხარ, თვარეს წუნობდა ვასასი.
შემოდი, ნუ გერიდება, ნუ ლაპარიკობ კარიდან,
ბეჩა! ფეხძიმედ ყოფილხარ! ცივი წვენი ხო არ გინდა?
ამფერ სიცხეში ამდონი რამ გარონია ნეტეი?
- მერვე თვეში ვარ უკვე და ვეღარაფერში ვეტევი,
კაბა მჭირდება კლიოში, ყოველდღე სარონიები,
ლამაზი უნდა იყოს და თან უნდა იყოს იეფი,
ხელცარიელს თუ გამიშვებთ, ისევლე გაგებუტებით...
- აქ ყოლიფერი ქე არი, ჩემ ცოლს ჩამოაქ ფუთებით,
ხო გახსოვს, მათემატიკას რო გასტავლიდა, ციური,
სკოლა იმანაც დატოვა, ნიჭი აქ კომერციული.
ამ ყვითელ კაბას გირჩევდი, იქნები უფრო ხალვათათ,
ფული თუ არ გაქ საყოფი, ნისიათაც ქე გაგატანთ.
მე მიტო გსაყვედურობდი, გაკვეთილზე რო ციგნობდი,
გონია მერვე კლასიდან გათხოვებაზე ფიქრობდი.
ცოდნა არ ფასობს ამ დროში, მარა აღარც მე ვბრაზდები,
მივიხედ-მევიხედე და ქე შემეცვალა აზრები.
ვიცი რო მასტავლებლისგან ეს აზრი გაგიკვირდება,
დიპლომზე უმფრო ქვეყანას ახლა ბოვშები ჭირდება.
...
თან გულში ასე ფიქრობდა - გადამრევ შენ, ჯემალაო,
გამრავლება თუ გადარდებს, ვინ გიშლის, შეჩემალაო...

მეორადი ტანსაცმელი / ტილო, ზეთი / 100 x 90 სმ

ბატონების გაცილება / ტილო, ზეთი / 100 x 80 სმ

ბატონების გაცილება

შენმა კაი ბატონებმა მეილიეს საქმე, ღმერთო,
აწი კიდო შენც უთხარი - ფეხს ნუ გააჩიკინებთო.
ბატონებო, მწყალობლებო, ღვთის კარიდან გადმოსულნო,
ხო გიცეკვეთ ფეხშიშველმა, კეთილო და კარქო სულნო.
კვერები და ტკბილოული ხო დაგიდგით ხონჩებითო,
მოსართმევი ხეც გაგიწყვეთ წითელ-ყვითელ ფოჩებითო,
გეფერებით შვიდ და-ძმასა, ია და ვარდი გფენიათ,
ჩიტიც არ აგიფრენიათ, ბოვშიც არ დაგიწვენიათ,
ნანინანა ბატონეიებს, მებოდიშის პირით ქებულს,
ტყისნაპირში დავდოფ ტაბლას, ავანტყოფზე შემოვლებულს,
წითელ მამალს გამოგატანთ, არ დევიდებთ თქვენსა ვალსა,
იის წყალით გიპკურეფთ და დაგილოცავთ გზასავალსა,
ხოდა აწი ქე მომყევით, გაგაცილეფთ სოფლის გარეთ,
როგორც მოსვლით გაგვახარეთ, ისე წასვლით გაგვახარეთ!..



ამიხსენით ვინმემ რაცა?...

- ამწინებზე მილანში რო გავაცილე ჩემი ნატო,
დღეს დარეკა - კაი მოხუცს დოუდექი მომვლელათო,
მე ჩურჩუტს რო მიხაროდა გამოვზარდე იჯინრათო,
თელი მისი ჯამაგირი არ გვყოფნიდა ერთ ინჯრათო,
ხოდა აწი არა გვიჭირს, დეისტუმრებს ალბათ ვალებს,
უნა მიხაროდეს, მარა, მაინ ცრემლი მოღვარღვალებს.
შენ გაგიხმა ეგ კრასკები, რას მერჩოდი ჩემო ლადო,
კობას რაღა დოუშავე, რო ამღერღა სატირლათო,
ნახატში და ლექსში მაინც დაგესახეთ დედოფლათო.
ან იმ ნინომ სა შეგყარათ ერთმანეთის კუდებათო.
ლეილამაც თითქოს ჩემთვინ მოანგროვა ეს სიტყვები,
რომე თურმე ვიბლაზები, ვჟუჟუნობ და ვიქლურცები,
ვითამ მე არ მომიხთება ღიმილი და სამკაული?..
ღვდელთან ქე რო დევიჩივლე, იმან მითხრა სასტაული
- გაჩუ გოგო, ნუთუ უფლის საყვედური წამოქცთაო,
ღმერთი რჩეულს გოუჭივრებს, ასთე იცის გამოცთაო.
ქე გავჩუმდი, ენას კპილი დავაჭირე, რო არ მეთქვა,
- ეს ამდონი სიყვარული რითი დევიმსახურე-თქვა?

ცუცა / ტილო, ზეთი / 50 x 30 სმ



ბებო ზინგერით / ტილო, ზეთი / 40 x 35 სმ

ჭიოლგია ვგიანშვილიცა და ტრიფონია ზინგერიც ყოველთვის მეგობრობიც ვმბავი

- დღეს რა მოვყვე, ჩემო კაცო, რო არ იცი იმფერი?
ალბათ ასჯენ მოყოლილი მაქ უკვე ყოლიფერი.
ზინგერისას მოგიყობი, ალბათ გული გიგძნობდა,
ომი რო დეიწყებოდა, სტალინმაც არ იცოდა.
ხოდა ამან დამარჩინა, ქვრიობა რო მერგუნა,
შენ კი არ გგავს, აქობამდე უმტყუნოთ მიერთგულა.
მე დავბერდი, ამას კიდო არ ეტყობა აფერი.
მაინც რაფერ მეიფიქრე ასე ჩემშესაფერი.
ჩვენი მოშეც დეილოცოს, ძაფი არ მომკლებია,
მარა, აჭკი არ მყოფნის და ძნელი ასაგებია.
შვილიშვილებს თუ იკითხავ, დიდი გოგოებია,
ერთი სკოლას წელს ამთავრებს, ენაცვალოს ბებია.
აჩიხჩიხდი „ტრიფონია“, თვარა არი გვიანი,
ბანკეტისთვის უნდა თაკოს კაბა კოპლებიანი.
ხო, ქერო შენ მონატრებას თავი ვეღარ გავართვი,
ამ მაშინას შენ სახელზე ტრიფონია დავარქვი.
რო დამტიე, ერთი-ორი კიდეც მერიგებოდა,
მარა მეთქვი ობლებს კვერი არ გამოუცხვებოდა.
სხვისკენ ვეღარ გევიხედე, ჩვენს სიყვარულს ვიცავდი,
მთელ სიცოცხლეს მირჩევნია ის ხუთი წელიწადი.
არევინ არ გევიკარე, მარტვა ვზარდე ბოვშები.
აწი ამ ჩემ წუთისოფელს სხვას რაღას გამოვრჩები.
ხოდა, მალე მოგაკითხავ, ისეც დიდხანს გადავდე,
ახლა მაინ არ მიმტყუნო, მანაც კვტარი არ დამხვთე.
ეს ამბავი შვილთაშვილებს მოსაყოლად დარჩება...
კაი, თვარა საცა არი გული ამომაგჯება...
იმდენი ქე შევძელი რო თავი არ შემერცხვინა...
რასაც ვყობი, ნეტაი თუ გეყურება, შე ცხვირა...

ლექსისა

ხშირად დავობენ - რა არის ლექსი...
ვისთვის შაშვია, ვისთვის ხურტკმელი,
ვისთვის სტაგია და ვისთვის ხემსი,
ვისთვის - სათქმელი, ვისთვის - უთქმელი,
ვისთვის თეთრია, ვისთვის ფერადი,
ვისთვის მერანი, ვისთვის გავაზი,
ვისთვის შურშული, ვისთვის ჟღერადი
ხმა, პიაფის თუ ტეკანავასი.
დუ ფუ დარდებით გულს დაგიმძიმებს,
მაიაკოვსკი ყიჟინით გიკლებს,
ვაჟა დილის ნამს აგიციმციმებს,
სამყაროს კილა უპყრია რილკეს,
მოსხეპით თქმული უყვარს ხაიამს,
ხოლო მალარმე შეაბამს ნიღაბს,
ტერენტი მეცხრე ცაზე გაიარს,
გალაკტიონი გახედნის გრიგალს.
შენ? შენ რა გინდა ამ ტიტანებში,
რად ეხლები და სად ეკვეტები,
ან რას გიშველის რობაიები,
სონეტები და ტრიოლეტები...
რა და, როდესაც ასცქერი ზეცას,
უხვად მოჭედილს დიდი მნათებით,
თუკი დალანდავ ვარსკვლავს, ნამცეცას,
დაჩრდილულს მათი ათინათებით,
ეგ არის შენი ლექსი, ციატა,
და თუმცა მისი სხივი მკრთალია,
მაინც სინათლის მხედარია და
მაინც უკუნთან მეომარია.



ხელოვანი / ტილო, ზეთი / 60 x 40 სმ

ლადო თევდორაძე და კობა ჭუმბურიძე



ლადო კობას
პორტრეტთან
მხატვარი:
კობა ჭუმბურიძე

პროექტის
იდეის ავტორი
ნინო გუგეშაშვილი
მხატვარი:
კობა ჭუმბურიძე



პროექტის
კონსულტანტი
ლეილა უკლება
მხატვარი:
კობა ჭუმბურიძე

მხატვრობა:
ლადო თევდორაძე

ლექსები:
კობა ჭუმბურიძე

წიგნის რედაქტორი:
ნინო გუგეშაშვილი

დიზაინი:
გეგა პაქსაშვილი

© ლადო თევდორაძე

თბილისი 2024

Favorite
YOUR BEST PARTNER
ლიცენზია №ს „ფავორიტი სტილი"

ISBN 978-9941-8-6203-8

ISBN 978-9941-8-6203-8
9 789941 862038